სახალხო ფურცელი

№ 789 სამშაბათი 7 თებერვალი 1917 წ. № 789

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში" პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი მანეთით მეტი,

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: **Тифлисъ „Сахалхо Пурцели", поч. ящ. 190.**

ტელეფონი 12—38

ანასტასია იოსების ასული ფორაქაშვილისა

თ-დი ჯავახიშვილის ასული გარდაიცვალა 4 თებერვალს, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა ქალი **ფეკლე დავითის ასული დაფქვიაშვილისა ქმრით დავით ანტონის ძე დაფქვიაშვილით და შვილებით ლუბა ალექსანდრეს ასული კლიმიაშვილისა და ეკატერინე ალექსანდრეს ასული ლაკაშინათი.**

გამოსვენება 7 თებერვალს დილის 9 საათზე მატერიალნი შესახვევიდან № 6. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დაკრძალვა წმ. ბარბარეს სასაფლაოზე. 156

ანასტასია იოსების ასული ფორაქაშვილისა

თავ. ჯავახიშვილის ასული გარდაიცვალა 4 თებერვალს, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები განსვენებულისა **ალექსანდრე და იოსებ დავითის ძენი ფორაქაშვილები თავისი შვილებით და რძალი ივლიტა ადამის ასული და კონკორდია ნიკოლოზის ასული ფორაქაშვილებისა.**

გამოსვენება 7 თებერვალს დილის 9 საათზე მატერიალნი შესახვევიდან № 6. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ბარბარეს სასაფლაოზე. 156

ბახმაროს ჯ. გამგეობა ამით აცხადებს წელს მსურველ მოაგარაკეთა საყურადღებოდ რომ წინ და წინ ჩაეწერონ

ამხ. „ჯამთელობის"

კოოპერატივის წევრებად, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მიიღებენ პირველ საჭირო საგნებს საამხანაგო სავაჭროებისაგან. ფულის რაოდენობა განისაზღვრება 6 მანეთით, ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით.

ჩოხატაურში აფ. ცინცაძეს ბ: ჯ გამგეობა 1134

საიმპერატორო სამუსიკო სკოლის დარბაზი

(გრიბოედოვის ქუჩა, № 8)

დღეს, 7 თებერვალს—ორი მოხსენება:

I

გერონტი ქიქოძე:

„ნიკოლოზ ბარათაშვილი"

II

ი. გრიშაშვილი:

„საიათნოვა, როგორც ერეკლე მეფის კარის მგოსანი".

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათსა და 15 წუთზე. ადგილების ფასი 2 მან. 50 კ.-დან 50 კ.-მდე. ბილეთები იყიდება დილით საჩაიე „ძმურ ნუგეშში", საღამოთი სასწავლებლის შესავალში.

1039

პ. ი. ზუბალაშვილის სახელ. ქ. სახ. სახლი

სახ. სახ. არს. ქართულ წარმოდგენ. მმართ. წრის მიერ

დღეს, 7 თებერვალს, 1917 წ. წარმოდგ. იქნება:

უდანაშაულოდ დასჯილნი,

კომედ. 4 მოქმე. ა. ოსტროვსკისა თარგ. ი. მაჭავარიანისა.

მონაწილ. მიიღებენ: ქ-ნნი ელ. იანქოშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, მ. მატარაძისა, მარგველაშვილი, ან. ქიქოძე, ბ-ნნი: ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, ა. მეტრეველი, შ. მამაჯანოვი, გედევანიშვილი, ვ. ნინიძე.

მონაწ. მიიღებენ წრის ყველა სცენის მოყვარენი და თანამშრომელნი.

დასაწყ. საღამ. სწორედ 8 ს. ადგ. ფასი 10—59 კ. ბილეთ. კასა ღიაა ყოვ.-დღე დილ. 12—2 ს. და საღ. 6—8 ს. ◆ **შემდეგი წარმოდგ.** 11 თებერვ.

რეჟის. კ. შათირიშვილი. ქარ. სახ. წარ. წრ. ადმინ. 10

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა).

დღეს, 7 იანვარს, 1917 წელს.

სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი

დასაწყისი საღამოს 8-ნახევარ ს. სტუმრები საზოგადო წესით. 1002



ახალი დიდი ცირკი ახალი დიდი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი, ახლად შეკეთებ. კაპიტალური **საზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00**

დღეს, 7 და ოთხშაბათს, 8 თებერვალს, გაიმართება

დიდი წარმოდგ. ათას ერთის ღამის სახელით

საუკეთესო მსახიობების და გასტროლიორების მონაწილეობით. ასეთი სანახაობა იშვიათია სატახტო ქალაქებშიაც და შეიძლება ნახოთ ეფიმოვების ცირკში. **ხარების ბრძოლა** ისპანიაში. ხუთ განყოფილებად. მონაწილეობას იღებს 150 ქალი და კაცი, 1) ახალმაყალი ბარსელონის ბაზარში, 2) გამოცხადება წარმოდგენისა, 3) საზეიმო პროცესია, 4) ხარების ბრძოლა, 5) დღესასწაული.

ანონსი: ხუთშაბათს, 9 თებერვალს, ბენეფისი საზოგადოების საყვარელის მუსიკოს-კლოუნების როზეტისა და კოლპეტისა.

ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი

(ტფილისში, კრილოვის ქუჩაზე, № 10)

ამით აუწყებს მოკავშირე საზოგადოებათა გამგეობათ, რომ მიმდინარე 1917 წ. 8 თებერვალს, დილის 11 საათზე, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიხსნება მომხმარებელ საზოგადოებათა რწმუნებულების საგანგებო კრება დღის შემდეგი წესრიგით:

1. მოხსენება კავშირის საქმეთა საერთო მდგომარეობის შესახებ.
2. გეგმა კავშირის საქმიანობისა 1917 წ.
3. სმეტა კავშირის შემოსავალ-გასავალისა 1917 წ.
4. 1916 წ. 5 ივლისს მომხდარ კავშირის დარბევისაგან გამოწვეული ზარალის დაფარვის წესის გამომუშავება.
5. კავშირის საქმეთა გამგეების არჩევა.
6. კავშირის წესდების შეცვლა.
7. დებულება განმანაწილებელ პუნქტების შესახებ.
8. მიმდინარე საქმეები.

კრება გასტანს სამს დღეს: 8, 9 და 10 თებერვალს. 1041

ექიმი

ვ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. გრიბოედოვის ქ. № 6.

ექიმი

კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა № 4. სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელეფ. 15—00. 1271

ექიმი

ბ. ბ. ნარიმანოვი

ვენერიულ, კანის, თმაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. $5^{1}/_{2}$ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 457

ექიმი

ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა.

ვერის შოლდანი, ექიმი სობესტიანსკის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1144

ექიმმა

ფავლენიშვილმა

განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე მუხრანის და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31.

საექიმო კაბინეტი ექიმ

კ. ს. ფონ-ირტელისა

სპეციალისტი ქირურ., საშარდე-საშვილ., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, უკაცრობა, შედეგი ონანიზ. და ხიფილ., თირკმლების ავადმყ.), წამლობა სიფილისისა ერლიხის პრეპარ. „914" და „606" და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესავ. კრილ. ქ. 1, მეორე კარი. 1352

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1060

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეჰრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი დ გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ. კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, აგრეთვე ყოველგვარი ფიზიოთერაპიით და ელექტრონით. თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლენოიდი, **განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, არტერიოსკლეროზის, თირკმლების** და ღვიძლის სნეულებ. სისხლის ნაკლებობისა, უძილობისა, ხერხემლისა სისუსტის, ასთმისა, ბუასილის და რევმატიზმის დროს. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღ. 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელეფ. № 7—92. 868

ექიმი ქალი

ს. ზ. მირზოევი

უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა სამკურნალოსი.

იღებს თვალისმიერ ავადმყოფთ ყოველ-დღე ნაშუადღევის $1^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ საათამდე, კვირა დღის გარდა.

ხერხეულის ქუჩა, № 1.

ტელეფონი, № 16—37 1409

ექიმი

მ. დ. წინამძღვარიშვილი

ყოფილი ორდინატორი თერაპევტიულ კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 56, მეორე სართული. 1061

ექიმი

თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი კიროჩნი ქ. 18. 1391

ექიმი

შ. ა. მიძელაძე

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ექიმი კბილისა

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 1 კირპიჩნი ქუჩის შესახვევის 31.

ტფილისი, 7 თებერვალი, 1917 წ.

მოვსპოთ ფუფუნება!

ქართველის ყალბ ჩვეულებათაგანს ფუფუნება შეადგენს. უხვი ბუნება გვიადვილდებდა ცხოვრებას, ადვილად ვახერხებდით არსებობის დაცვას და თავიდანვე შეგვრჩა მოთხოვნილებათა განუსაზღვრელობა. სტუმრობა, ლხინი, ძღენობა, თვალწარმტაცი დეკორაციები სახლსა თუ სამოსელში ქართველობის დამახასიათებელია თავიდანვე. ამ თვისებით შემოვდგით ფეხი თანამედროვე ომში და ხომ მოგეხსენებათ—ჩვეულება სჯულის უმტკიცესიაო, საარაკო სიძვირისა და საქონლის სიმცირის დროსაც ვერ ვახერხებთ თავი დავახწიოთ ამ ყალბ ჩვეულებას.

არსად ისე ფეხ-მოკიდებული არ არის ფუფუნება, სიმდიდრის გამოჩენა ფულისა და ქონების ფლანგვაში—როგორც ჩვენში. მხოლოდ აქ შეხვდებით ადამიანს პური და მჭადი ენატრებოდეს, მაგრამ ძვირფას ხავერდის, ატლასის ახალუხი ეცვას. თუ ასეთი მოვლენა შესაწყნარებელი იყო ჩვეულებრივ დროს, როცა აბრეშუმის ფასიც ასე თუ ისე ხელმისაწვდომი იყო, ეხლა ყოვლად შეუძლებელია ძველ ზნე-ჩვეულებით და მოდის მიხედვით ვიცხოვროთ. მით უმეტეს, როცა ყველა სახელმწიფო ფუფუნებას სასტიკ წინააღმდეგობას უცხადებს და ცდილობს ფუფუნების მოსპობით ეროვნულ სიმდიდრის განიავებას რამდენადმე ხელი შეუშალოს. ინგლისმა და იტალიამ უკვე გადასდგეს ნაბიჯი ამ მხრივ და სხვა სახელმწიფონიც აპირობენ ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვას სახელმწიფოში. რუსეთში ქალების მაღალყელიანი ფეხსაცმელიც არის აკრძალული და საამისო ზომაა დაწესებული. თუ ასეთ საშუალებებს მიმართავენ ბუმბერაზი სახელმწიფონი, ცხადია პატარა ქვეყნები კიდევ მეტის სიბეჯითით უნდა იცავდნენ ასეთ კულტურულ ზომას.

ფუფუნების მოსპობა განსაკუთრებით საყურადღებო იმიტომ არის, რომ საზოგადოების ეკონომია დაცული ხდება და სახელმწიფოს სავაჭრო ბალანსაც აქტიური სახე ეძლევა. ტყუილ-უბრალოდ სიმდიდრის გაოხრება სიძვირეს და საქონლის სიმცირეს კიდევ უფრო ართულებს, რაიცა სახელმწიფოებრივ წყობილებისათვის ომის დროს, საბედისწეროა.

საქართველოსათვისაც ორივე მხრივ აუტანელია ფუფუნება. ჩვენც ვიხრჩობით საქონლის ნაკლებობით, სიძვირით, ეროვნულ ეკონომიკის სიღარიბით და ასეთ პირობებში ფუფუნებით ცხოვრება და საზოგადოებრივ უმეცრების, ვერაგობის გამოჩენაა.

ვის არ მოეხსენება, რომ ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებით ღარიბია წარმოებაში. მრეწველობა არ გვაქვს, მეურნეობას პრიმიტიულად ვაწარმოებთ, ექსტრაქტულ შემოქმედებას მრც ვიცნობთ და რასაკვირველია მოუწყობელ ხალხისათვის საქონლის დაუზოგველობა უაზრობაა. რაციონალური ეკონომიკის პრინციპი „მარტო მრეწველობაში კი არ გამოიხატება, ესე იგი ეროვნულ სიმდიდრის შექმნის პროცესში, არამედ სიმდიდრის საზრიან განაწილებაშიაც. დამზადებულ ნაწარმოების დანაწილებასაც ისეთი მნიშვნელობა აქვს ხალხის კეთილდღეობისათვის, როგორც მწარმოებელ ძალთა განვითარებას საწარმოვო ალებ-მიცემობაში. თუ მრეწველობასა და საეკონომიო შემოქმედებაში ვიჩენთ სისუსტეს და ამ ომის დროს მაინც ვერ შევსძლებთ ამ სენისაგან განთავისუფლებას, ეხლავე შეგვიძლიან საქონლის განაწილებას დიდი ყურადღება მივაქციოთ. სიმდიდრის უაზრო ფლანგვის მოსპობით დავიცვათ სიმდიდრე და ეროვნული კეთილდღეობა. ზნეობრივი მოვალეობაცაა პატივით და ხელმომჭირნეობით მოვეპყრათ ღირებულებათ, რომელთაც შექმნაში მონაწილეობა არ მიგვიღია, ხოლო ქვეყანა გაკოტრების კარამდე არ მივიყვანოთ მფლანგველობით, უცხოელთა მარგალიტების, ტყავებისა და სხვა ფუფუნების საგნების შეძენით, რაიცა გაამდიდრებს და სარგებელს მისცემს უცხოელ მწარმოებელთ.

სასტიკი ეკონომია მოხმარების სფეროში!—ეს ერთი უმთავრესი თანამედროვე ლოზუნგია ალებ-მიცემობისა და ეს ლოზუნგი საფუძვლად უნდა დაედვას ჩვენს ცხოვრებას. ანგარიში და ხელმომჭირნეობა უნდა გამოვიჩინოთ ყოველ საგნის მოხმარებაში, ტანთსაცმელში, საზრდოსა თუ ბინის საკითხში. მფლანგველობა გამოიხატება არა მხოლოდ ფულის ხარჯვაში, ისეთ სიმდიდრის უქმად დატოვებაშიც, რომლის წერმოებას სარგებლის მოტანა შეუძლიან. ბინების ეკონომიაც საჭიროა გაწეულ იქმნეს, რომ თვითოეული ოთახი შემოსავლის და სარგებლის წყაროს წარმოადგენდეს.

იაფი საზრდო, იაფი ბინა, იაფი ტანთსაცმელი, გამოზოგვით ხარჯვა ყოველ სანოვაგისა, ხოლო მაღალ ფასებში გასაღება ყოველ ძვირფას საგნებისა, გაყიდვა საჭირო და სასარგებლოა,—აი ეს უნდა შეადგენდეს ყოველ დღევანდელ ქართველის ფიქრისა და ზრუნვის საგანს. დროს და საშუალების დაუზოგველობა ძალის და ენერგიის ექსპლოატაციაა. თავისუფალ დროს დაკარგვა ყოველ მფლანგველობის უარესია. შრომა, შრომა, შრომა!—აი კიდევ წყარო და ფაქტორი ფუფუნების მოსპობისა. უნდა გამოვიყენოთ არა მხოლოდ ჩვენი შრომა, ცოცხალი ენერგია, ყოველი საშუალებანიც, მოძრავი თუ უძრავი ქონება, რომ მოძრავი და უძრავი ქონება გადიდდეს, გაფართოვდეს. ფული წარმოებაში, ფული სასარგებლო საქმეებში, მამულში, საშინაო მრეწველობასა და მეურნეობაში—აი საშუალებათა ექსპლოატაცია. მეტი გავყიდოთ, ნაკლები ვიყიდოთ—ყოველ ქართველის და ქართველობის ხარჯთ-აღრიცხვას უნდა შეადგენდეს. დეე, ეს იყოს მერკანტილიზმი, მაგრამ რაკი ეს მერკანტილიზმი ეროვნულ არსებობის აუცილებელი პირობაა, ჩვენც მხარი უნდა დავუჭიროთ მას სავალდებულო წესად დავისახოთ.

ომის გარშემო

ომის დღიური

ყურადღების ღირსია ინგლისელების მოქმედება მესოპოტამიაში. ინგლისელებმა აქ კარგა ხანია შეტევა იწყეს და ოსმალეთის ჯარს თანდათან ახევინებენ. გაუგებარი იქნებოდა ამ დროს აქ ინგლისელების მოქმედება, რომ მხედველობაში არ მივიღოთ ერთი გარემოება. ინგლისელების შეტევას თავის თავად აზრი და მნიშვნელობა მაშინ ექნებოდა, თუ მას თან დაჰყვებოდა რუსის ჯარის სპარსეთში შეტევა და იმავე დროს კავკასიის ასპარეზზეც ახმაურდებოდა. მაგრამ ორივ უკანასკნელი ასპარეზი სდუმან და მარტო ინგლისელების შეტევა, ვიმეორებთ, თავის თავად, თითქოს აზრს მოკლებულია, მაგრამ ცნობებია, რომ ოსმალებმა ამას წინად ბაღდადის რაიონიდან საკმაოდ ბევრი ჯარი წაიყვანეს, მხოლოდ დანამდვილებით გამორკვეული არ არის, თუ საითკენ გაგზავნეს ეს ჯარი. ულმობელ წყალ-ქვეშ ბრძოლის გაჩაღება, იჭვს გარეშეა, ინგლისის წინააღმდეგ არის მიმართული და მაშასადამე სუეცის არხის საკითხსაც კვლავ წინ აყენებს. სუეცის არხის მნიშვნელობა კი ინგლისისათვის ცხადზე უცხადესია. ალბად ინგლისს საკმაო საბუთი აქვს იფიქროს, რომ ბაღდადის რაიონიდან გამოყვანილი ჯარი სწორედ ეგვიპტისაკენ მიისწრაფება და გერმანია ზღვით და ხმელეთით აპირებს სუეცის არხის წინააღმდეგ გალაშქრებას. შესაძლებელია სწორედ ამით არის გამოწვეული ინგლისელების შეტევა მესოპოტამიაში და საფუძვლად ოსმალეთის ჯარის აქ შეკავება უდევს. ვიცით აგრეთვე გაზეთებიდან, რომ ოსმალეთის მთავრობის შორის ცვლილება მოხდა და მინისტრები, რომელთა აზრით ოსმალეთს ჯარი კავკასიის ასპარეზით უნდა გაეძლიერებინა, გადადგნენ დ გაიმარჯვა ენვერ ფაშის აზრმა. ენვერ-ფაშა მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას ეგვიპტის ასპარეზს აძლევდა. ამჟამად გერმანიის ინტერესიც მოითხოვს, რომ ოსმალეთმა სწორედ აქეთკენ მიაქციოს ყურადღება. გერმანია დარწმუნებულია, რომ ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთა შორის ყველაზე მეტად ინგლისია ზავის წინააღმდეგი და ამიტომ ინგლისისაკენ აქვს მახვილი მიშვერილი ამჟამად გერმანიას.

ჩე — ვა — ლი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი, 4 თებერვალი, ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. სროლა და მზვერავთა თარეშია. კარპატში ქარბუქი მძვინვარებს.

რუმინიის ბრძოლის პირი. სროლა და მოწინავე რაზმების შეტაკება სწარმოებს.

კავკასიის ბრძოლის პირი. ძლიერი ქარბუქი სწარმოებს.

შავი ზღვა. ჩვენმა გემებმა ანატოლიის ნაპირებთან ჩასძირეს 16 იალქნიანი ნავი.

პეტროგრადი, 5 თებერვალი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და

რიის ბრძოლის პირი. არტილერიის ძლიერი სროლის შემდეგ გერმანელების 1—$1\frac{1}{2}$ როტამ, თეთრ ხალათებში გამოწყობილმა, იერიში მიიტანა ჩვენს პოზიციაზე, დაბა ქშავას აღმოსავლეთით, დვინსკის სამხრეთ-დასავლეთით. გერმანელების ნაწილი შემოიჭრა ჩვენს მოწინავე თხრილში, მაგრამ ადგილობრივ რეზერვის დახმარებით უმალ უკუვაქციეთ.

რუმინიის ბრძოლის პირი. ჩვენმა რაზმმა მოულოდნელი იერიშით, უსროლოთ, წაართვა მოპირდაპირეს გამაგრებული ადგილი მაღლობზე, რომელიც დაბა ოკნას 13 ვერსით სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს; მოპირდაპირის კონტრიერიში მოვიგერიეთ და ტყვეები წავართვით.

კავკასიის ბრძოლის პირი. ქარბუქი კვლავ მძვინვარებს.

დასავლეთის ასპარეზი

პარიზი, 3 თებერვალი. ცნობა საღამოთი. რამდენჯერმე მარჯვედ გავილაშქრეთ არგონში ბერი-ო-ბაკის რაიონში და 30-მდე დავატყვევეთ. მეზონდე-შამპანის დასავლეთით არტილერიის საკმაოდ ძლიერი სროლა სწარმოებდა. ქვეითა ჯარს არ უბრძოლია. ტაგურის ჩრდილოეთით მარტეში გერმანელების საწყობი არტილერიის სროლით ავაფეთქეთ. ლორენში, ნომენის მახლობლად, გერმანელების მზვერავთა რაზმი სროლით გავფანტეთ და რამდენიმე მოუკალით. ლუვემონის რაიონში და ვოგეზში. სენ-მარის გადასავალის სამხრეთით არტილერიის სროლა სწარმოებდა. დილით გერმანელებმა შორს მსროლელი ზარბაზნით რამდენჯერმე გამოისროლეს ნანსის მიმართულებით.

პარიზი, 4 თებერვალი. ცნობა დილისით. ანკრის სრდილოეთით, ფუკესკურის მაღლობლად გერმანელების იერიშმა ჩვენს დარაჯებზე უნაყოფოდ ჩაიარა. შამპანში შუადღის შემდეგ ბრძოლამ მეტად მკაცრი ხასიათი მიიღო. ნაშუადღევის სამ საათზე გერმანელებმა რამდენიმე ნაღმის აფეთქების საშუალებით მოახერხეს და შემოიჭრნენ მეზონდე-შამპანის დასავლეთ ნაწილში, მენილის მაღლობისაკენ მიმავალ გზის ჩრდილოეთით. სროლით და მენიდან და მასიჟიდან მოსულ მაშველი ჯარის დახმარებით მოპირდაპირეს საგრძნობი ზარალი მივაყენეთ. დილით ამ რაიონში არტილერიის მკაცრი სროლა განახლდა. ვევრში დილისით მზვერავთა თარეში გაძლიერდა.

ლონდონი, 4 თებერვალი. ოფიციალური ცნობა 3 თებერვალს. სუშეს სამხრეთით ღამით შევიჭერით გერმანელების პოზიციაზე, 11 დავატყვევეთ და უვნებლად დავბრუნდით. არმანტიერის ჩრდილო-აღმოსავლეთით დილით გერმანიის რაზმმა დიდი ზარალით ჩვენს ხაზს მოაღწია, მაგრამ უმალ უკუქციულ იქმნა. გერმანიის არტილერია მხნედ მოქმედობდა საისაიზელთან და აგრეთვე არასის სამხრეთ-დასავლეთით. დანარჩენ ბრძოლის პირით ჩვეულებრივი სროლაა.

პარიზი, 4 თებერვალი. ცნობა დილისით. შამპანში, მეზონ-დე-შამპანის რაიონში, ორივე მხრით არტილერია მოქმედობდა. ეპარჟის რაიონში გერმანელებმა უეცრივ იერიში მოიტანეს, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ. ალზასში საღამოთი ჩვენი რაზმი შეიჭრა გერმანელების წინ წამოწეულ პოზიციაზე ამერცვილერთან; სანგრები მთლად დანგრეული დახვდა; მოპირდაპირე საგრძნობლად დაზარალდა და ტყვეებიც წავართვით. დანარჩენ ბრძოლის პირით ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

პარიზი, 4 თებერვალი. ცნობა დილით. ბრძოლის პირის მეტ ნაწილში არტილერიის დროგამოშვებითი სროლაა. უფრო აქტიური მოქმედება სწარმოებს რიძეკურის მიმართულებით. მოპირდაპირის მოულოდნელი იერიში ჩვენს პატარა სადარაჯოზე ბეზანვოს ჩრდილო-დასავლეთით, სროლით მოვიგერიეთ.

პარიზი, 5 თებერვალი. ცნობა დილისით. ღამის განმავლობაში ბრძოლის პირის სხვა და სხვა ალაგას, კერძოდ ტრუას იონო დეშამბრეტის რაიონებში, ბადონვილიერის ჩრდილო-დასავლეთით, მზვერავთა შეტაკება ხდებოდა. ლეპრეტრის ტყეში ჩვენი რაზმი შეიჭრა მოპირდაპირის თხრილში და სანგრები დაუნგრია მოპირდაპირეს. დანარჩენ ადგილებში თვალსაჩინო არაფერი მომხდარა.

ლონდონი, 4 თებერვალი. ცნობა საღამოთი. დღეს დილით შეტევა დავიწყეთ ანკრის ორივე ნაპირით და პტი მირომონამდე წავიწიეთ. ანკრის ჩრდილოეთით დავიპყარით მოპირდაპირის გამაგრებული პოზიცია $1\frac{1}{2}$ მილის სიგრძისა. სხვა ადგილებშიაც მარჯვედ გავილაშქრეთ და მოპირდაპირეს ზარალი მივაყენეთ.

გემების დაღუპვა.

ლონდონი, 3 თებერვალი. ჩასძირეს ინგლისის 5 გემი.

ქრისტიანია, 3 თებერვალი. ლონდონიდან მიღებულ ცნობით, გაუფრთხილებლივ ჩაუძირავთ ნორვეგიის გემი „დოლმატა". მეზღვაურები, ერთის გარდა, გადაარჩინეს.

ლონდონი, 4 თებერვალი. უკანასკნელ დღედამეში ჩასძირეს ინგლისის 5 გემი.

ლონდონი, 5 თებერვალი. ჩაძირულია ინგლისის ორი გემი, იალქნიანი ნავი და მიწის ამომწმენდი მანქანა.

ქალები სამხედრო სამსახურში.

სტოკჰოლმი, 4 თებერვალი. ბერლინიდან იუწყებიან: ოფიციალური განკარგულება გამოსცეს, რომ მიიწვიონ ქალები სამხედრო სამსახურში. მათ დაევალებათ ჯარში „ორდონანცები"-ს სამსახური, ე. ი. ბრძანებების და მოხსენებების გადაცემა გადმოცემა. ქალები ჯარის სხვა და სხვა ნაწილების შორის კავშირს განახორციელებენ.

საბერძნეთში.

სალონიკი, 1 თებერვალი. ოთხთა შეთანხმების კანტროლმა გამოარკვია, რომ ნეიტრალურ ადგილის უკან 3000 ირეგულიარული ჯარი იმყოფება პოლკოვნიკ ცენტოსის მეთაურობით; აგრეთვე ვოლოში იმყოფება 50 ოფიცერი, სამოქალაქო ტანთსაცმელში გადაცმული. ადგილობრივი გაზეთების ცნობით მოკავშირენი დაჟინებით მოსთხოვენ მთავრობას, აასრულე პირობა იარაღის ჩამორთმევაზეო. ერთი მილიონი თოფი ჯერ არ არის დაბრუნებული. სათადარიგო ჯარის-კაცთა კავშირი ქალკედონის ნახევარ კუნძულზე მოსპობილი არ ყოფილა, მხოლოდ სახელი შეუცვლიათ. მას მოწოდებით მიუმართავს მოქალაქეთათვის და თავის მოქმედების კრიტიკა აუკრძალავს; განუდევნია ყველა მოხელე ვენიზელოსის მომხრე.

ათინიდან მიღებულ ცნობით გარეშე საქმეთა ეხლანდელ მინისტრს ზელოკოსტას გადააყენებენ და მის ნაცვლად დაინიშნება სამეფოს კანცელარიის მართველი პაპადიამანდოპულო, მეფის დიდი მომხრე და ერგული.

ჩერნოგორიის მთავრობის განცხადება.

პარიზი, 3 თებერვალი. ჩერნოგორიის მთავრობა იუწყება: მოპირდაპირის პრესა ეს რამდენიმე ხანია ტენდენციოზურ ცნობებს ავრცელებს, რომელნიც თავსდება აგრეთვე ჩვენ მოკავშირეთა გაზეთებშიაც. ამ ცნობით ჩერნოგორიას, ვითომ მოლაპარაკება აქვს ცენტრალურ სახელმწიფოებთან სამხრეთ-სლავიანთა სახელმწიფოს დაარსებაზე, რომელსაც სათავეში ჩერნოგორიის ეხლანდელი დინასტია ჩაუდგება ავსტრია-უნგრეთის პროტექტორატით. ჩერნოგორიის მთავრობა, მეფის სრული ნდობით აღჭურვილი აცხადებს, რომ აღნიშნული ცნობები ყოველ საფუძველს მოკლებულნი არიან, იმავე დროს ჩერნოგორიის მთავრობა კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ მტკიცედ სწამს დაპირებანი თავისი ძლიერი მოკავშირეებისა, რომ ახლო მომავალში ჩერნოგორიის სამეფო აღდგენილი იქნება და მიიღებს დაკმაყოფილებას თავის ზარალში. ჩერნოგორიის მთავრობა მიუთითებს თავის ლოიალობაზე, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ჩერნოგორიის შვილნი სისხლის უკანასკნელ წვეთს ღვრიან საერთო გამარჯვებისათვის.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბლოკადის მიზანი.

კოპენჰაგენიდან „რუსკია ვედომოსტი"-ს ატყობინებენ: გერმანული გაზეთი „ნორდდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" აცხადებს, რომ წყალქვეშა ბლოკადის მიზანი არა მარტო საქონლით დატვირთულ გემების დაღუპვაა, არამედ უფრო ნეიტრალურ სახელმწიფოთა და ინგლისის შორის ვაჭრობის მოსპობა. წყალქვეშ ბრძოლის პირველი მაგალითები იმედს გვაძლევენ, რომ ამ მიზანს მივაღწევთ. თითქმის ყველა ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა ან სულ შესწყვიტეს ან და საგრძნობლად შეამცირეს ინგლისთან ვაჭრობა. გაზეთი აფრთხილებს ნეიტრალურ სახელმწიფოებს, იმედი ნუ გექნებათ წყალქვეშ ბრძოლის დაცხრომისა, მიუხედავად იმისა, რომ გერმანია კეთილის თვალით გიყურებთო.

რუმინიის ასპარეზი.

იასიდან იტყობინებიან, რომ რუმინულ გაზეთის „ენდეპანდანს რუმენ"-ის ცნობით უამინდობა ხელს უშლის სამხედრო მოქმედებას მთელი ბრძოლის პირით დორნა-ვატრადან დაწყებული შავ-ზღვამდე. რუმინიის არტილერია მხნედ მოქმედობს და ხელს უშლის გერმანელებს პოზიციების გამაგრებაში. ცხენოსანი ჯარიც ხშირად თარეშობს.

ამერიკაში.

ვაშინგტონიდან იუწყებიან: კონგრესის ერთ წევრს პალატას წინადადება შეუტანია, მიმართოს კონგრესმა პრეზიდენტ ვილსონს და შეეკითხოს, გააჩერეს თუ არა ნავთსადგურებში ამერიკის გემები უცხოელი სახელმწიფოს მუქარის გამო და მიღებულია ზომები რომ ინგლისისაკენ, საფრანგეთისაკენ და იტალიისაკენ მიმავალ სავაჭრო გემებს თან ახლდნენ სამხედრო გემები, რომელნიც მათ იარაღით დაიცავენ?

აუდიენცია გერმანიის ელჩისათვის.

სტოკჰოლმიდან „ბირჟ. ვედ."-ის ატყობინებენ: ეხლა გამომჟღავნდა, რომ კოპენჰაგენიდან დაბრუნების მეორე დღეს შვეციის მეფემ მიიღო გერმანიის აქაური ელჩი ლუციუსი და ითათბირა მასთან. აუდიენციას განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა.

შვეციის პასუხი ამერიკისადმი.

როგორც ვიცით შვეციამ უარჰყო ვილსონის წინადადება და საზოგადოდ არ მოიწონა ამერიკის მოქმედება. პარიზიდან „ბირჟევ. ვედ"-ის ატყობინებენ, რომ შვეციის პასუხში აღნიშნულია არა ერთი შემთხვევა, როდესაც შვეცია ამერიკას მოუწოდებდა ყველა ნეიტრალური სახელმწიფო ერთად გამოვიდეთ და ვაიძულოთ ინგლისი ხელი აიღოს ნეიტრალურ სახელმწიფოთა ვაჭრობის შეზღუდვაზე და საერთაშორისო უფლების დარღვევაზეო. ამერიკის მთავრობამ სიტყვიერად უპასუხა, ამერიკის ტრადიციები ნებას არ გვაძლევენ საერთაშორისო საკითხებში ვისთანმე ერთად ვიმოქმედოთო.

ამერიკელების პესიმიზმი.

ვაშინგტონიდან პარიზის გაზეთებს ატყობინებენ, რომ ერთხნობით ამერიკელები თითქოს დამშვიდდნენ, მაგრამ 28 იანვარს კვლავ პესიმიზმი გამეფდა. ყველა დარწმუნებულია, რომ გერმანია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შეერთებული შტატები ომში ჩაითრიოს. გერმანიის მუქარა, ამერიკის ნაპირების ბლოკადას განახორციელებო, მეტად აშინებს ამერიკელებს, რადგანაც ასეთი ბლოკადა მეტად შეაფერხებს ამერიკის ვაჭრობას.

ავსტრია-უნგრეთი და ამერიკა.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ ვენიდან მიღებულ ცნობებით ავსტრია-უნგრეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ჩერნინის და ამერიკის ელჩის ჰენფილდის შორის მოლაპარაკებაა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა უზრუნველჰყონ ამერიკის გემთა მოძრაობა ხმელთა შუა ზღვაში. ხმა დადის გერმანია მზადაა კომპრომისისათვის, ოღონდ ძირითადი პროგრამა ულმობელ წყალქვეშ ბრძოლისა უცვლელი უნდა დარჩესო.

გაზაფხულის კომპანიის მოლოდინში.

მომქმედ ჯარიდან „რუსკოე სლოვო"-ს ატყობინებენ: გერმანიიდან მიღებულ ცნობებით მთავარი ყურადღება მიქცეულია ახალი ჯარების შეგროვებისაკენ. იანვრის დასაწყისში განკარგულება მოახდინეს, რომ ჯარში დააბრუნონ „მესამე კატეგორიის" დაჭრილები, ე. ი. ისეთი დაჭრილები, რომელთაც შორმის უნარი 50 პროცენტი აქვთ დაკარგული, მათ ან ერთი ხელი. ან და ერთი ფეხი აკლიათ. ამ ხალხს ჯარის დამხმარე რაზმებში ჩააყენებენ და იქ მყოფ ჯანსაღ ჯარის კაცებს მომქმედ ჯარში ჩაირიცხვენ. ოფიცრის თანამდებობაზე ყველა შტატებში დასახიჩრებული ოფიცრები დანიშნეს, რომელნიც წინად სამსახურისაგან სრულიად განთავისუფლებულნი იყვნენ. ჯარში ჩარიცხეს აგრეთვე ყველა ვინც სახელმწიფოს დაცვის ორგანიზაციებში მსახურობდა. ზოგიერთის მაგიერ ქალები დაუნიშნავთ, ბრძანებაა გაცემული რომ ყველა უნტერ-ოფიცერს, ორჯელ დაჭრილს, რომელიც კი მოისურვებს მომქმედ ჯარში დაბრუნებას, ოფიცრის ჩინი მიეცემა. განსაკუთრებულად უფრთხილდებიან და ძვირად ხარჯვენ ყუმბარებს. დიდს ყურადღებას აქცევენ რკინის გზათა მიმოსვლის გახშირებას დ სათანადო მოწყობას ჯარის სწრაფად გადაყვანისათვის. ასეთივე მზადებაში არიან გერმანიის მოკავშირენი. გერმანია უყურადღებოდ არ სტოვებს ოსმალეთს, ოსმალეთის ჯარის ზურგს უკან გერმანელები მრავალ რკინის და შოსეს გზებს აკეთებენ და ყველგან ყუმბარების და სამხედრო მმსალის საწყობებს აარსებენ. ოფიცრების მომზადებისათვის გერმანელებმა ოსმალეთში 9 სპეციალური სასწავლებელი გახსნეს.

ახალი ამბავი

◆ **დღეს**, 7 თებერვალს სამუსიკო სასწავლებლის სკოლის დარბაზში წაკითხულ იქნება გერონტი ქიქოძის და ი. გრიშაშვილის მოხსენებანი.

◆ **თედო ღლონტის მოხსენება.** „მეურნეს" გამგეობის დადგენილებით საკოოპერაციო კავშირის წევრთა საზოგადო კრებაზე 8—9—10 თებერვალს თ. ღლონტი წესდების შეცვლისათვის წაიკითხავს მოხსენებას:—„საკოოპერაციო კავშირთა მოწყობას პრინციპები".

◆ **სახალხო სახლის** გამგე კომისიის სხდომა დანიშნულია 7 თებერვალს წარმოდგენების დღეების გასანაწილებლად.

◆ **ბაღჩები საავადმყოფოებთან.** 8 თებერვალს ქალაქის გამგეობის წევრის მ. ნ. ათაბეგოვის თავმჯდომარეობით დანიშნულია კრება ქალაქის საავადმყოფოებთან ბაღჩების მოწყობისთვის. კრებაზე გარდა ქალაქის გამგეობის სატყეო და საადგილმამულო კომისიების წევრთა მიწვეულ არიან წარმომადგენლები მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებულისა, სახელმწიფო ქონებათა გამგისა და წყლების ინპექციისა.

◆ **კავკ. სამოსწავლო ოლქის უფროსმა** განკარგულება მოახდინა რომ მოწაფეები არ იქმნენ დაშვებულნი პიესე „ზაზა" და „ზავტრა"-ს წარმოდგენის დროს.

◆ **უსარგებლოდ სესხის მიცემა.** კავკ. სასოფლო სამეურნეო საზ. საბჭოს მიეცა 100 ათასი მანეთი სეს-

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი

(დასასრული.*)

პოეტს სჩვევია ტეხა წინადადებისა ეგ ზომ, რომ რითმი იწყება ხან ქვემდებარით, ხან მისი მსაზღვრავით, ხან კიდევ კავშირით, რომელიც ეკუთვნის მეორე ტაეპში მოქცეულ დამატებით წინადადებას, და თავდება ისეთი რითმით, რომელიც დასაწყისია შემდეგი წინადადებისა, შემდეგი სურათისაც. მაგალითად:

ასე ჰყეფდა ბულბული, **ოდესცა ღამე ბნელი**
მოიცვავდა ქალებსა; ჰქროდა ნიავი ნელი.
(ბულბული ვარდზე)

ტაეპი თოთხმეტ მარცვლოვანია. შუა შუა რომ დაგვეყო, მივიღებდით შვიდ შვიდ მარცვლოვან ტაეპებს, რომლისაც წყობა იქმნებოდა პირველისა და მესამისთვის ოთხი და სამი, ხოლო მეორისა და მეოთხისთვის ხუთი და ოთხი მარცვალი. იმ შემთხვევაშიაც მეორე ტაეპი **ოდესცა ღამე ბნელი**, როგორც არა მთლიანი, დამოკიდებული იქმნებოდა მესამე სხვა წყობის ტაეპზე.

ასეთივე, მხოლოდ უფრო რთული ხასიათისაა შემდეგი ლექსი:

ჰოი მთა წმინდავ, **მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი,**
დამაფიქრელნი, ვერანანი და უდაბურნი,
ვითარ **ჰშვენიან**, როს მონამენ ცვარნი ციურნი.
ოდეს სალამოს დაშთენ ამოს ციაგნი ნელნი,
(შემოღამება მთაწმინდაზე)

ტაეპი თოთხმეტ მარცვლოვანია და მისი გაყოფა ორად შეუძლებელია. ირითმება პირველი და მეოთხე და მეორე და მესამე ტაეპი, მაგრამ ორი შუალა რითმი სხვა და სხვა მდგომარეობას ჰხატავს. მრთელი ორი პირველი ტაეპი და ნაწილი მესამე ტაეპისა უჭირავს ერთ აზრსა, ერთ წინადადებას, რომლისაც შესმენილი მესამე ტაეპშია. რამ გამოიწვია ასეთი სიგრძე სიტყვისა? ნუ თუ იმან, რომ გარითმულიყო პირველი და მეოთხე ტაეპი?

შემდეგ ლექსში მეორე ტაეპის რითმით, რომელიც პირველის ფარდია. იწყება მეორე წინადადება, სხვა გარემოების გამომხატველი. მაგ.:

რა ვსცან პირველად წუთი სოფელი
დავშთე ადგილი, **სადაცა წრფელი**
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
სწორთა თანზრდილთა, მეგობართ შორის
(ხმა იდუმალი)

ლექსი ათ მარცვლოვანია. ზედიზედ ირითმება ორ-ორი ტაეპი. მეორე ტაეპის ნაწილი და მესამე და მეოთხე ტაეპი უჭირავს მარტო ერთ წინადადებასა. ასეთი შემთხვევა მოხშირებითაც იპოება. მაგ.:

ამ დროს გამოჩნდა სამხრეთით მტერი.
ცა მოწმენდილი, **ცა მშვენიერი**
ზე დანათიდა **ბრძოლისა ველსა**
და ირაკლიცა ჯარსა ქართველსა
განამხნევებდა **მამობრივის ხმით:**
ჰხედავთ, ვითარის კადნიერებით
შეჰკრბების ჩვენზე **უსჯულოება!**
საქართველოს დღეს გადაუწყდება
თავისი ბედი და **უბედობა!**
დღეს ეჭირება მამულს მხნეობა!
(ბედი ქართლისა).

ლექსი აქაც ათ მარცვლოვანია და ირითმება ორ-ორი ტაეპი. პირველი ხაზმული სიტყვა რითმს აბოლოებს და ახალ აზრს იწყებს იმ დროსვე, ხოლო შემდეგი ხაზგასმული სიტყვებით თავდება აზრები, რითმები კი არა.

დამახასიათებელი ვითარება პოეტის ლექსთა წყობისა კიდევ ის არის, რომ გასარითმად ჰხმარობს ხშირად მარტო ერთ ხმას, ან ორ ხმასა. მაგ.:

მრავალ არიან, უფალო **მტერნი**
და წარიტაცონ შენნი **ცხოვარნი.**
დღეს მეცა თქვენში ვარ **მეომარი,**
ვითა თქვენგანი ერთი **მხედარი.**
(ბედი ქართლისა).

ასეთი ლექსთა წყობა იმით განირჩევა, რომ რითმი აზრსაც აბოლოებს.

უფრო დაახლოვებით გაცნობა პოეტის ლექსთა წყობის ხასიათისა შეიძლება შემდეგი ნაწყვეტებისაგან. მაგალითად:

თვითონ მეფენიც უძლეველნი, **რომელთ უმაღლეს**
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
ჰშფოთავენ და დრტვინვენ, და იტყვიან, როდის იქმნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს, **და ალიძვრიან**
იმავ მიწისთვის, რაც დღეს, თუ ხვალ თვითვე არიან!

—

მისი ფიქრია თუ, ვით უკეთ **მან უპატრონოს**
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, **რომ შემდეგსა დროს**
არ მისცეს წყევად თვის სახელი შთამომავლობას!
(ფიქრი მტკვრის პირას).

სომხეთის გმირნი, ყაფლანის შვილნი
და მათ მომარცხნედ ბარათაშვილნი
განუმტკიცებდნენ მკლავთა ქართველთა;
მეფის ირაკლის **ღვაწლი ყოველთა**
შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას,—
მაინც ვერ ჰხედვენ ბოლოს ბრძოლისას.
(ბედი ქართლისა)

გაფოთებული ეძიებდა მას,
ვინცა თერანის ტახტ-ხელმწიფებას
ქართველთა შორის წაართვა ძალა;
მაგრამ ირაკლიმ **უკვე გაჰქუსლა**
მთიულეთისკენ თავისი ცხენი
და შეუმცირა სპარსთ ტკბილი დღენი.

—

სახელმწიფოსა აჯულის ერთობა
არა რას არგებს, **ოდეს თვისება**
ერთა მის შორის სხვა და სხვაობდეს;
ვინ იცის, მაშინ **როგორ მოხდეს**
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი;
ვით შეითვისოს **რუსმა ქართველი,**
ვით.....

—

არამედ ვითა მამა კეთილი,
რომელსა ჰსურს, რომ თავისი შვილი
თვისს სიცოცხლეშივ დაასახლკაროს.
ძნელ არა ცხოვრება **სამეფოსი, როს**
უჰვრეტდეს იგი ომსა დღე დღითი!
აი ხომ ნახე აწ მაგალითი.

—

აქ ფიქრში იყო მსაჯული, **ოდეს**
მოადგა თავის სახლისა არეს.
(იქვე)

ასეთი ხასიათი არ ახლავს არც ძველ პოეტების, არც ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის და ვახტანგ ორბელიანის ლექსთა წყობასა. ძველებმა იცოდნენ, რომ შაირობა ხელოვნება, მუსიკობა იყო და სცდილობდნენ მის შესწავლას. დიდ მოშაირეებს ყველას ჰქონდა შეგნება თავის უპირატესობის, როგორც სიტყვა ხელოვანი პოეტისა. იოანე შავთელს დავითის ქნარი ეოცნებოდა, რომ მუსიკობად დამჯდარს ზევსური სიტყვა შეეთხზა დავით აღმაშენებლის საქებრად. ჩახრუხა ჰხმობდა თამარ მეფის საქებრად

არულნი ქებანი
ამძლევ ძლიერსაო

და ისწრაფდა თავისი ქნარით, რომელიც თამარის ნათელს გაუმზევებინა, ღამე დღედ ექცია. დიდი რუსთველი შაირობას სრულ საყოფელად ისაპიროებდა ენას, გულს და ხელოვნებას და თავისი ვეფხის ტყაოსნისთვის ამბობდა,

დავსჯე. რუსთველმა გავლექსე
მისთვის გულ ლახვარ სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი,
აწ მარგალიტი წყობილიო.

თეიმურაზ პირველი ისე ქედმაღლობდა თანამედროვე პოეტებთან, რომ იძახდა,

ნაძლევი ვარ, თუ ვინმე სთქვას
ჩემებრ რამე განლექსულიო,

მათ ქადილს ღონეც შესწევდა. რა კი ლეკთა თარეშობის გამო ქართლში სწავლამ იკლო და ბერებ-ხუცები უწიგნო, ხოლო, ყრმება უწვრთელ-უცები დაჰრჩნენ, დავით გურამიშვილი ქაცვია მწყემსის პირით გვეუბნება,

მე ამად შემწყობით,
გარჩევით შეტყობით
ვამბობ ვერასა.

შემდეგ კი როცა შოთა რუსთაველს ბრძენ რიტორს უწოდებს, ხოლო მის ვეფხის ტყაოსანს იგავთა ხეხილს, ფესვ ღრმას და მსხმოიარეს, იტყვის:

ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი
მე სხვისა ვერ ვნახეო და

და თავის თავს დაუმონებს შოთას შემდეგი შედარებითა.

ვით მხედარს ყრმისა მცირისა
წკეპლასა ზედა ჯდომანი
მიემზგავსების ცხენოსანს
ჯოხით რბენა და ხლდომანი,
ეგრედვე შოთა რუსთველსა
ეს ჩემი ლექსთ მიხდომანი,
ცუდად მომიხდა გვაჯითა
ბაძით უმზგავსო ნდომანი.

მაგრამ დიდი დავით ამას ყველაფერს მორცხვობით, თავმდაბლობით ამბობს. მტკიცება და მაგალითების ჩვენება არ არის საჭირო თუ, რამდენად გრძნობიერ აზროვანი, ენა ტკბილი, ლექსთა წყობა მრავალგვარი და სიტყვა ხელოვანია ქაცვია მწყემსის ავტორი. ქილილა და დამანას გალექსილ ნაწილსაც, რომლის ავტორადაც ასახელებენ ჩინებულ იგავთ მეტყველს საბა სულხან ორბელიანსა, ლექსთა წყობა კიდევ უფრო მრავალ გვარი მოეპოება როგორც მაგ. შაირი, ჩახრუხაული, ფისტიკაური, რვული, შეწყობილი, ტაეპი, ლექსი, ჩახრუხაული ტაეპი, იამბიკო, წყობილი, მრჩობლედი, შერეული, ჩახრუხაული ძაგნაკორული, მრჩობლედი ჩახრუხაული და მრჩობლედი ფისტიკაური, მაგრამ აქაც ავტორის სიტყვა ხელოვნობა უცილოა. ტაეპის და რითმის ტეხა ეუცხოვება.

ერთი საკითხია კიდევ, რაიც ლექსთა წყობის შინაგან ღირსებას შეეხება. იგია შინაგანი რითმი. გვასწავლიან, ვითომც ლექსთა წყობაში ისევე, როგორც მილში გრძნობის ერთგვარი, ნაკადული უნდა მდინარებდეს და მით შეიძლებოდეს პოეზიის დაფასება, ლექსის ფორმის, ანუ გარეგანი რითმის მიუხედველად. ერთია მართალი შოთა რუსთველის და დავით გურამიშვილის შაირობის შინაგან რითმს ბოლოს მოუღებდა ლექსის ფორმის ნაკლულოვანება, ე. ი. ტეხა წინადადების და რითმისა. მაგრამ იგივე შინაგანი რითმი შეიძლება ძლიერიც ჰქონდეს ლექსს, როცა მისი ტაეპი აზრით მთლიანი და ფორმით ღარიბია, ზოგჯერ კიდევ სრულიად ურითმო. პირველი შემთხვევით მაგალითად დავასახელებთ ნიკოლოზ ბარათაშვილის **მერანს**, ხოლო მეორისად—გრ. ორბელიანის **მუშა ბოქულაძეს**.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა ობოლ ფორმად დაჰრჩა, არვის შეუთვისებია. აკაკი წერეთლის, რაფაელ ერისთავის და ვაჟა-ფშაველას გამოსვლამდე თითქმის ყველანი, მათ შორის **მერანის** ავტორიც, დაკარგული ფორმის ძებნაში იყვნენ. სამთავ ავტორის პოეზია და მისი შინაგანი რითმა იმითაც არის ძლიერი, რომ ლექსის ფორმა უზადო აქვთ.

მაგრამ ლექსის ფორმის განვითარება ვაჟა-ფშაველაზე არ შემდგარა უახლესმა პოეტებმა ლექსის ფორმა განავითარეს სრულ ყოფამდე. მათი რითმის სიკეთე და ლექსთა წყობის მრავალფეროვნება მიუწვდომელია და **გრიშაშვილის** პირით რომ ვსთქვათ არ ავიწყდებათ, რომ ლექსის ფორმა გრძნობის საფუძველია. ეს ითქმის ნიჭიერი პოეტისთვის.

გრძნობა და აზრი ახალი პოეზიისა უნდა შეეფეროს უახლესი პოეზიის ფორმასა, რომ წარმოიშვას ნამდვილი კლასიციზმი.

პეტრე მირიანიშვილი.

---

*) იხ. „სახ. ფურც." № 786.

ხალ მცხოვრებთათვის სათესს მასალის მისაწვდენად. ამ სესხზე სარგებელი არ გადახდებათ. სესხი გასტუმრებულ უნდა იქმნეს მიმდინარე წლისა 1 აგვისტომდის.

◆ **ბათომის საქალაქო კავშირის** განყოფილება შუამდგომლობს მთავარ გამგეობასთან მიეცეს 150 ათასი მან. ტრაპიზონის ოლქის საჭიროებისათვის.

◆ **დაბრუნდა** ინსპექტორი ქალაქის სავაჭრო სამეურნეო ნაწილისა ა. ა. შავერდოვი.

◆ **გუთნების შეკვეთა.** კავკ. საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზ. საბჭომ შეუკვეთა როსტოვ დონის ფირმებს 2000 გუთანი. ამ რიცხვიდან საზოგადოებამ მიიღო ჯერ-ჯერობით 2 ვაგონი გუთანი ე. ი. 150 ცალი გუთანი.

◆ **მერძეობის კურსები.** რომელიც 7 თებერვალს უნდა გახსნილიყო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან 14 თებერვლისთვის გადიდო.

◆ **ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების** ფილიალური განყოფილება არზრუმში. არზრუმში მცხოვრებ ქართველ ერთ ჯგუფს განუზრახავს ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების დაარსება ექიმ სიმონ ჩიქოვანის თავმჯდომარეობით რის გამოც სათანადო განცხადება და თხოვნა უკვე მოუვიდა ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობას.

◆ **დიდი საქველმოქმედო საღამო.** კვირას. 12 თებერვალს ქართული საქველმოქმედო საზოგადოება თავის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად დიდ საღამოს ჰმართავს. საღამოს ბილეთები ამ თავითვე იყიდება ახალ კლუბის კასაში და საჩაიე „ძმურნუგეშში“.

◆ **ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების წევრთ. საგანგებო კრება.** 5 თებერვალს ახალ კლუბის დარბაზში შესდგა ქ. შ. წ-კ. საზ. წევრთა საგანგებო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა **დ. კარიჭაშვილი.** კრებამ თავმჯდომარის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ ალ. ბეს. ქიქინაძის ხსოვნას.

შემდეგ საზოგადოების მდივანმა ვ. ბურჯანაძემ წაიკითხა 1917 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განმარტება და თვით ხარჯთ-აღრიცხვა კრებამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაადგინა! მოემატოს ჯამაგირები საზოგადოების სამ მოსამსახურე პირს, ბუღჰალტერს მაღაზიის გამგეს, და მოლარეს, პრინციპიალურად სურვილი გამოსთქვა აგრეთვე დანარჩენ მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების თაობაზე, მაგრამ ეს საკითხი დროებით გადასდო, და შემდეგ ახლად ჩაწერილი სამასი წევრი და ხარჯთ-აღრიცხვა მიიღო და დაამტკიცა. კრებამ „განათლების“ საზოგადოების შუამდგომლობა ნივთიერ დახმარების შესახებ უსახსრობის გამო ვერ დააკმაყოფილა.

◆ **ტფ. ქალაქის კომიტეტი** სამხედრო ბეგრის შეღავათებისა აცხადებს, რომ ყოველმა დაწესებულებამ, რომლის მოსამსახურეთ და მუშებს მიეცათ შეღავათი, თვალსაჩინო ალაგას უნდა გამოჰკიდოს ამ პირთა სია.

◆ **ნიკო გოცირიძეს** პატივისაცემლად სახალხო სახლში კვირას 5 თებერვალს დიდის ზეიმით მოეწყო საღამო. წარმოდგენილ იქმნა სცენები „ტარტიუფიდან“ და „მსხვერპლიდან.“ შემდეგ მიულოცეს წარმომადგენლებმა: ქართ. დრამატიულ საზოგადოების, ქართულ სექციის, ხარფუხის კლუბის ხაშურის სცენის მოღვაწეთა, რკინის გზის მოსამსახურების, ოსების სცენის სექციის ორიზონის რედაქციის ავჭალის აუდიტორიის და სხვა.

◆ **ეკ. სარაჯიშვილის პანაშვიდი.** კვირას 5 თებერვალს განსვენებულ ეკატირინე სარაჯიშვილის სამარეზე წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ განსვენებულის ძმები და მახლობელნი, წარმომადგენელნი სხვა და სხვა ქართულ საკულტურო და საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პატივისცემელნი.

◆ **საეპარქიო სასწავლებლის საბჭოს** კრება კვირას 5 თებერვალს შესდგა ინსპექტორის ასარჩევად. ჯერჯერობით ორი კანდიდატია წამოყენებული მღ. ტერნოვსკი კავკავიდან და მღ. შიო. ფუთალაძე რუსეთის ერთ-ერთ სემინარიიდან. საბჭომ დაადგინა ინსპექტორის არჩევნები გადიდოს ამ სასწავლო წლის ბოლოს [illegible]-თვის ვინაიდან ეს ორი კანდიდატი საკმაო არაა ინსპექტორის ასარჩევად.

◆ **საკურორტო ყრილობის** მომწყობ ბიუროს კომისიის წევრების სხდომა მოხდა კვირას 5 თებერვალს. კრებაზე მოსმენილ იქმნა მუშაობის მსვლელობის საქმე კრებამ დაადგინა დაუგზავნოს მოწვევა იმ ქალაქებს რომელნიც სიებში გამორჩნენ და ეთხოვოს მეფის მოადგილის საბჭოს მოგვცეს რუქა კავკასიის ყველა გზებისა.

◆ **სატეხნიკო საზოგ.** წევრთა კრება მოხდა კვირას 5 თებერვალს. კრებამ მოისმინა ორი მოხსენება ს. ა. მოსკალიოვისა და ვ. ი. ილინგისა მატყლის წარმოების მომავლის შესახებ კავკასიაში. მომხსენებლებმა დაამტკიცეს რომ ჩვენებურ ცხვრის მატყლი საუკეთესო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს. დასასრულ კრებამ აირჩია რწმუნებულები საკურორტო ყრილობისთვის.

◆ **სურათების გამოფენა.** კვირას 5 თებერვალს გოლოვინის პრ. ძმ. მილოვისეულ მაღაზიის შენობაში სომეხ მხატვართა სურათების გამოფენა გაიხსნა. გარდა სომეხ მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენილია აგრეთვე სურათები ცნობილ მხატვრებისა პროფ. პალენოვისა, გოლოვინისა, მუსატოვისა და თოიძისა შეილით. სომეხ მხატვრების ოგანეზოვისა ტერ-ნამაზიანისა, თათევოსიანისა, შარბაზჩიანისა, ხაჩატურიანისა და ს. გაბაევისა (სომეხია). ქანდაკებანი გურჯიანისა, ქეფინოვისა, ტერ-აბრამიანისა, მიქაელიანისა ხუროთმოძღვრებისა ტერ-მიქელოვი, ტერ-სარქისოვი და ჩისლიევი. გამოფენა გასტანს 1 თვეს.

სოფლად და ქალაქად

ს. წნელისი.

◆ ჯიკა არსოშვილის ცოლმა სურათამ ქმარი მიატოვა და ს. რუსთავის მცხოვრებს სანკა ჯაოშვილს სამოქალაქო წესით გაჰყვა მეუღლედ. ჯიკა არსოშვილმა პირდაპირ მოლაპარაკებით რომ ვერაფერი გააწყო, თავის სოფელში 80 კაცი შეაიარაღა, რუსთავში მიუხტა სანკა ჯავიშვილს და თავის მეუღლესთან ერთად გათოკილი ს. წნელისში წაიყვანა. იქ ორივეს კარგად სცემეს და შემდეგ ჯავიშვილი გაანთავისუფლეს ხოლო სურათა კი თავის ქმარს ჩააბარეს. როცა ჯავიშვილი შინ დაბრუნებულა სახლი გაძარცული დახვედრია.

ხაშური.

◆ 23 იანვარს ხაშურის ბაზრის მოედანზე მყოფ ჩაფარს აბანოს ფანჯრიდან სროლის ხმა მოესმა და სხვა დარაჯებთან ერთად იქით გაეშურა. სროლის ადგილს მცხოვრებთა დაკითხვის დროს ორი საეჭვო პირი გააჩერეს. მათ კი სროლით გასცეს პასუხი და მძიმედ დასჭრეს ჩაფარი გიკაშვილი. დაჭრილი სურამის საავადმყოფოში გაგზავნეს რომელიც მეორე დღეს გარდაიცვალა.

თიანეთი.

◆ 3 თებერვალს ილდაყანიდან ასმელაში მიმავალ მემამულე ალექსანდრე სისაურს გზაში ბოროტ განმზრახველნი შეხვდნენ და მოჰკლეს. მკვლელებს პოლიცია გამოუდევნა მაძებარ ძაღლით. ძაღლმა ტყეში მიაგნო ბოროტმოქმედთ მაგრამ იქვე მოჰკლეს და მიიმალნენ.

ქვემო აჭარა.

◆ 29—30 იანვარს ქვემო აჭარის სოფლები ზუნდაგა, მახუნცეთი და ზუზუ, დაიარა ს. მარადიდის საავადმყოფოს ფერშალმა ბ. იოსებ ბერიშვილმა. ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა. ბ. ი. ბერიშვილი ხალხს ყურადღებით და მზრუნველით ეპყრობოდა. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, შემდეგშიაც შეძლებისდაგვარად დაათვალიერებს ხსენებული პირი ქვემო აჭარის სოფლებს.

◆ ბაბუჩ-ოღლში მოხდა უბედურება: გაჩნდა ცეცხლი დაიწვა სახლი დურმუნ ვერძაძის და შიგ გამოიწვა ოთხი სული. 1 ქალი და 3 ბავშვი.

თელავი

◆ 29 იანვარს მოხდა ქალაქის მოურავის არჩევნები ოთხი წლის ვადით. სხდომაზედ თავი მოიყარა ყველა ხმოსნებმა, რაც პირველი მაგალითია მათი არჩევნების შემდეგ.

მცირე კამათის შემდეგ კენჭის ყრით დაუნიშნეს ჯამაგირი მოურავს 2000 მანეთი ხოლო მის თანაშემწეს 1200 მანეთი. მოურავის კანდიდატათ დაასახელეს ისევ აწინდელი ბ. მ. თათეზოვი, ხოლო მის თანაშემწედ თავ. ლ. ვახვახიშვილი. პირველს ამოუვიდა 9 თეთრი და 3 შავი, ხოლო მეორეს 10 თეთრი და 2 შავი. ამრიგად ქალაქის მოურავად არჩეულ იქმნა ისევ ბ-ნი თათეზოვი, რომელიც წინედ დეჟურზე იდგა. არჩევნებს მეტად უფერული ხასიათი ჰქონდა.

◆ როცა ქალაქის გამგეობაში ძველებურად ჩვენებურად აწარმოებდნენ, მოქალაქენი საშინელს სიმშილს განიცდიდნენ და თუმცა ქალაქის რწმუნებულმა ივ. პაატაშვილმა მოაგონა ქალაქის მდგომარეობა და მოსთხოვა საჩქარო ზომების მიღება, რადგანაც ქალაქში ფქვილი სრულებით აღარ მოიპოვებოდა და სიმშილი—კი უმთავრესად ღარიბ მშრომელ ხალხს დაატყდებოდა თავზე: ამას რასაკვირველია ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს და თელავი 30,31 იანვარს და 1 თებერვალს საშინელ პურის კრიზისს განიცდიდა, რაც ჯერ არ გამოუვლია ამ ომის დროს. პური სრულებით არა ცხვებოდა და მცხოვრებნი პირდაპირ დაიმშნენ.

ბრძოლა შეთანხმებისათვის

2.

ფედერალისტური მოძრაობა.

ამ ჟამად მსოფლიოს ვერც ერთ სახელმწიფოს ვერ დავასახელებთ, სადაც დემოკრატიული ჯგუფები ფედერალიზმის უპირატესობას არ აღიარებდენ, ფედერაციას არ ემხრობოდნენ და ფედერაციით არ ფიქრობდეს ეროვნულ და ინტერნაციონალურ განწყობილობის გამოხატვას. ევროპის ისეთ სახელმწიფოებს, როგორც შვეიცარია და გერმანია, შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ. შვეიცარია ფედერალიზმის კლასიკური ფორმაა, სადაც სოციალ-დემოკრატია მშობლიურ ფედერალიზმს იცავს და არც ერთი დასელი გამოჩენილა შვეიცარიისათვის ცენტრალისტურ წყობილების შემოღება მოეთხოვოს ფედერატიულ წყობილების მაგიერ. წმინდა სახის ფედერალიზმი არ არსებობს გერმანიაში, მაგრამ გერმანიის სოციალ-დემოკრატია გერმანულ სახელმწიფოთა კავშირის იდეას კი არ უარყოფს, ამტკიცებს და ცდილობს კავშირს დემოკრატიულ-ფედერალისტური ხასიათი და სახე მისცეს. ფედერალიზმის საკითხი—ამბობს კ. კაუცკი—„დღეს კი არ აღძრულა. ჯერ მსხვილი მრეწველობა არ იყო განვითარებული, ის რომ წარმოსდგა. მუშათა დემოკრატიის საერთაშორისო ხასიათიდან გამომდინარეობს იგი, რამდენადაც დემოკრატია ჰგულისხმობს **ეროვნულ რესპუბლიკების კავშირს.** ეს კავშირი ევროპას შეერთებულ შტატებად გარდააქცევდა. პირველ ინტერნაციონალის დროს ამ აზრს გავლენა ჰქონდა. პირველ ინტერნაციონალის ორგანოში—საბუთებით ლაპარაკობს კ. კაუცკი—რომელსაც რედაქტორად ჰყავდა უხუცესი სოციალ-დემოკრატი ი. ფ. ბეკკერი, პირველ წლის მეორე ნომერში (თებერვალში 1866 წ.) წერილში—„ჩვენი მიზნის განმარტებაში“ ეწერა: „ერების კავშირი არის კავშირი თანასწორ უფლებიან წევრთა, ამხანაგობა, მსგავსი თავისუფალ სახელმწიფოსი“ (გვ. 18). იმავე ორგანოში („ფორბოტში“) იმავე წლის ივლისში ინტერნაციონალის გენერალურ საბჭომ ყველა ქვეყნის მუშებს მოწოდებით მიმართა, რომელსაც ხელს აწერდა ეკკარიუსი, იუნგი, ლესნერი და სხ., სადაც ეწერა: „პროლეტარიატს სამშობლო არ აქვს... მაგრამ ის მოწოდებულია განახორციელოს კაცთა მოდგმის დამცველის ანახასის კლოოტსის ზრახვა და **ხალხთა დიდებული ფედერაცია**“ (გვ. 106). ერთი წლის შემდეგ შვეიცარიაში ერთსა და იმავე დროს კრება ჰქონდათ გამართული ინტერნაციონალსა (ლოზანაში) და ბურჟუაზიულ „მშვიდობისა და თავისუფლების ლიგას“ (ჟენევაში), რომელთაც შესახებ ინტერნაციონალის ორგანო „ფორბოტე“ სწერდა: „საერთაშორისო მუშათა ასოციაციამ (ინტერნაციონალმა), რომლის წევრად ასი ათასობით ირიცხებიან, კონგრესის სახელით მშვიდობიანობის კონგრესს მიმართვა გადასცა, რომლითაც დემოკრატია მხურვალე თანაგრძნობას უცხადებდა და პირდებოდა დახმარებას მუდმივ ჯართა მოსპობის საქმეში, მშვიდობიანობის დასაცავად და **ევროპის სახელმწიფოებიდან თავისუფალ კავშირის შესადგენად**“ (გვ. 134 კურსივი კაუცკისაა), კაუცკი განაგრძობს: ფორბოტეს წარმოდგენილი ჰქონდა სახელმწიფოთა კავშირი, საითკენაც მიისწრაფოდა ინტერნაციონალი, როგორც სწორუფლებიან წევრთა კავშირისაკენ. ერთნაირად თავისუფალ საზოგადოებათა ფედერაციისაკენ. ინტერნაციონალის ორგანო სწერდა: „არც ერთ ერს იმის მეტი უფლება არ უნდა მიეცეს, [illegible] კავშირი აღიარებს... თვით **უმცირეს ერსაც უნდა მიენიჭოს სამუდამოდ დამოუკიდებელ არსებობის უფლება**“. პირველ ინტერნაციონალის ამ შესანიშნავ აზრებს კაუცკი კი არ უარყოფს, ამ მტკიცე და აშკარა ფედერალისტურ ღაღადისს კ. კაუცკი კიდევ უფრო აფართოვებს: „თავისუფალ ხალხთა ფედერაციას უსაზღვროდ უნდა შეეძლოს გაფართოვება. თუ წინად ფიქრობდნენ, რომ კავშირში შევლენ მხოლოდ დასავლეთ ევროპის დაწინაურებული სახელმწიფონი... ეხლა პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა ხელს უწყობს რომ თავისუფალ სახელმწიფების კავშირში სულ ახალი ერები შედიოდნენ“ (იპ.კაუცკის თხზულება—„შუა ევროპა“ გვ. 60).

ეს შესანიშნავი ფაქტები მხოლოდ და მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ ევროპის სოციალ-დემოკრატიას, როგორც დაწესებულებას პრინციპიალურად და სახელმძღვანელოდ მიღებული ჰქონდა ფედერალიზმი და ფედერაცია. ეს ფაქტები ან არ მოეხსენება „თანამედროვე აზრსა“ და ბ-ნ ანს, ან მოეხსენება, მაგრამ მალავენ. პირველი უვიცობას ამტკიცებს, მეორე—სიყალბეს.

რასაკვირველია, ფედერალისტური მოძრაობა ამით არ განისაზღვრება. უფრო ახალი დროის ფაქტი მრავლად მოიპოვება პოლიტიკურ პარტიათა ისტორიაში, სადაც ვხედავთ, რომ ყოველ სახელმწიფოში სოციალისტური დემოკრატია ემხრობა და იბრძვის ფედერალიზმისათვის. „ფედერალიზმსა და ავტონომიზმში“ სოციალისტ შპრინგერის აზრი მოვიყვანეთ ფედერაციის სასარგებლოდ. მოყვანილ აზრს აღარ გავიმეორებთ. ახალ ფაქტებს მოვიგონებთ. ავიღოთ ავსტრია. ავსტრიის შესახებ სოციალისტი ოტტო ბაუერი კარგად ამბობდა, ეროვნულ საკითხის ლაბორატორია არის ავსტრიაო, ესე იგი ავსტრიაში უნდა შემუშავდეს და სავსებით გამოირკვეს კლასიკური და გონივრული სახე ეროვნულ და საერთაშორისო განწყობილებათა. ავსტრიის ერთა მტკიცე ბრძოლამ ჯერ კიდევ 1867 წლის დიდმნიშვნელოვანი კონსტიტუცია გამოსჭედა, სადაც სახელმწიფო იძულებულია დაიცვას და იცნოს ავსტრიის ყოველ ერის ენის სრული თავისუფლება სახელმწიფოს ყოველ დაწესებულებაში. მაგრამ 1867 წლის ზოგადის ხასიათის საკონსტიტუციო დეკლარაციას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა 1905 წელს, როცა სახალხო საარჩევნო უფლებამ ავსტრიის რვა მთლიანი ერი აღჭურვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ უფლებით. სოციალისტ კარლოს რენერს ამ რეფორმის შემდეგ ავსტრია დიდ იმედს ულვიძებს: „1905 წლის რეფორმამ კანონით განამტკიცა რაც **ბადენის** დროიდან არსებობდა, ავსტრია განახლდა, ყველა განვლილ ხანას ეხლანდელი ხანა სჯობს და წარმოადგენს არსებითად **დემოკრატიულ და ინტერნაციონალურ ავსტრიას**“. ეს ინტერნაციონალური ავსტრია ის ავსტრიაა, რომელსაც ფედერალისტურ წყობილების ხასიათი აქვს მიღებული. თუ წინად ავსტრიის გერმანელები ეროვნულ პარლამენტს მოითხოვდნენ მაინის ფრანკფურტში, ჩეხები—პრაგასა, მადიარები—ბუდაპესტში და სხვა და სხვა, ამ მხრივ ავსტრიამ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ და წარმოადგენს ფორმალურად ჩამოყალიბებულს ინტერნაციონალურ-ფედერატიულ ავსტრიას.

ავსტრიის სახელმწიფოთა ფედერატიულ კავშირს არა თუ ებრძვის ავსტრიის სოციალ-დემოკრატია, პირიქით, იცავს და მოითხოვს ავსტრიის ფედერაციის განმტკიცებას და კლასიკურად ჩამოყალიბებას. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიამ ბრიუნის კრებაზე ოფიციალურად უარყო ყოველგვარი სხვა ფორმა ავსტრიის წყობილებისა, გარდა ფედერატიულ განწყობილებისა. აბსოლიუტურად ასეთი (ფედერატიული მოძრაობის) ხასიათი აქვს პროლეტარიატის მოძრაობას ჰუნგრეთშიაც (იხ. ამის შესახებ რენერის წერილი კოსტელიანსკის კრებულში).

ძალიან საგულისხმიეროა, რომ ეროვნული და ფედერალისტური მოძრაობა პროლეტარულ მოძრაობის სახეს იღებს რუსეთშიაც. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა რუსეთის სოციალისტურ პარტიათა რწმუნებულების მონაწილეობა და პოზიცია ციმერვალდის სოციალისტურ კონფერენციაზე. ციმერვალდის კონფერენციამ ფედერაცია პოლიტიკურ განწყობილებისათვის საუკეთესო ფორმად აღიარა, ხოლო ბალკანეთის სახელმწიფოების სოციალ-დემოკრატთა შეერთებულმა კრებამ ბალკანეთისათვის ფედერაცია მოითხოვა. 1915 წელში კავკასიაში არალეგალური დოკუმენტი გამოქვეყნდა მე № 4-ის თარიღით, რომელსაც კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ კომიტეტის ბეჭედი ამშვენებდა, სადაც „ბოლშევიკებს“ მანიფესტი მოითხოვდა კავკასია-რუსეთისათვის ფედერატიულ წყობილების შემოღებას. სოციალ-დემოკრატების გარდა რუსეთში გარკვეული ეროვნული პროგრამა სოციალისტ-რევოლუციონერებს აქვთ. ფედერალიზმის მუყაით კომპილიატორს ბ-ნ იაშჩენკოს დემოკრატიულ ჯგუფთა ეროვნულ-ფედერალისტური მოძრაობის შესასწავლად მოჰყავს მასალები, საიდანაც ვხედავთ, რომ უაღრეს დემოკრატიზმის მქადაგებელი გაზეთი „ნაროდნოე დელო“ მოითხოვდა: „ყოველ ხალხისათვის მოვითხოვთ სრულ თავისუფლებას, რათა ერები ფედერატიულად შეკავშირდნენ რუსეთსა, ევროპასა და მსოფლიოში“. ლავროვის „პერიოდი“ აცხადებდა; „ცენტრალიზმი ადგილს უთმობს ფედერალიზმს. საჭიროა, რომ ყოველი თემი განაგებდეს საკუთარ საქმეებს. კოლექტივიზმი (სოციალიზმი) აუცილებლად მოითხოვს თავისუფალ ფედერაციას“. „ჩერნი პერედელი“ პირველსავე ნომერში ამბობდა: „ჩვენი მიზანია პოლიტიკურ წყობილების **ფედერალისტური პრინციპი.** მალოროსია, ბელოროსია. პოლონეთი, კავკასია, ფილანდია, ბესარაბია, ყველა ამათ თავისებური ხასიათის ცხოვრება აქვთ და ავტონომია უნდა მიენიჭოსთ“. ასეთსავე გადაჭრით მოითხოვდა ფედერმლიზმს სოციალისტური გაზეთი „ნაროდნაია ვოლია“. „სახელმწიფოებრივი წყობილება უნდა მოეწყოს **კავშირის** საფუძველზე, რომ ყოველივე თემი დამოუკიდებლად და თავისუფლად განაგებდეს თავის ცხოვრებას“ (მასალები იხ. იაშჩენკოს თხზულებაში. გვ. 764, 765 და სხ.)

პირველ სახელმწიფო სათათბიროში მემარცხენე ჯგუფების დახმარებით ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირი იყო დაარსებული, 1905 წელში რუსეთში ფედერალისტთა დიდი კრება მოხდა, რომელსაც რუსეთის სხვა და სხვა ჩაგრულ ერთა სოციალისტური ელემენტები დაესწრნენ. უკრაინაში ეროვნულ-ფედერალისტური მიმართულება დიდი ხანია ვითარდება და თან და თან ფართო ხასიათს იღებს. კირილე და მეთოდის ძმობის ორგანიზაციაში, სადაც თავს იყრიდა უკრაინის ყველა ჯგუფზე მემარცხენე წრეები, პირდაპირ იყო გამოცხადებული: ყოველი ერი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის მიხედვით უნდა მოეწყოს და სხვა ერს—ასევე შედგენილს—ფედერატიულად დაუკავშირდესო. ოთხმოციან წლებიდან სოციალურ-ფედერალისტურ აზროვნებას და მოძღვრებას უკრაინაში სდარაჯობდა გამოჩენილი მოაზრე დროგომანოვი, უკიდურესი რადიკალი და დემოკრატი. ამ ჟამად უაღრესს დემოკრატიზმის სახელით ფედერალიზმს იცავს უკრაინაში პროფ. გრუშევსკი. უკრაინის პროგრესიული პარტიაც პროგრამაში ფედერალიზმს აქვეყნებს და ფედერალიზმი მიაჩნია საუკეთესო ფორმად ეროვნულ და ინტერნაციონალურ ცხოვრებისა. „ფორმა, რომელსაც შეუძლიან ყველაზე მეტად დააკმაყოფილოს ერები და ოლქები, ხოლო საუკეთესოდ განავითარებს ქვეყნის მწარმოებელ ძალებს უკრაინის პროგრესიულ პარტიას მიაჩნია **ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია და სახელმწიფოს ფედერატიული წყობილება**“ — აღნუსხავს პროფეს. გრუშევსკი. უკრაინაში ტერიტორიალურ ავტონომიას და ფედერაციას მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული და სოციალისტური ჯგუფები აძლიერებენ, ყოველი შავრაზმელი ებრძვის ფედერაციას და ავტონომიას.

პოლონეთის ეროვნული სახეობა ისევე გაკვეთილი და ნათელია, როგორც უკრაინისა. პოლონეთი კლასიკური ქვეყანაა, სადაც ეროვნული სულისკვეთება ყველას ახასიათებს, დიდსა პატარას, მემარჯვენესაც და მემარცხენესაც—რასაკვირველია იშვიათის გამონაკლისით.

ეროვნული საკითხი ყველაზე უფრო რთული და გამოურკვეველი ისეთი ერისათვის არის, რომელსაც ტერიტორია არ გააჩნია, ხალხი მთლიან მოსახლეობას არ წარმოადგენს და მაშასადამე ობიექტური პირობა ხელს უშლის ეროვნულ მოძრაობას და მიმართულებას. ასეთ უმწეო მდგომარეობაში ებრაელები იმყოფებიან. მაგრამ ეროვნულ არსებობის წყურვილი ისე დიდია ყველა ერში, რომ თვით დაქსაქსული, უფლება აყრილი და უტერიტორიო ერიც—ებრაელობაც—ეროვნულ უფლებას ოცნებობს. ებრაელთა სოციალისტური ჯგუფი—„ბუნდი“ ეროვნულ თავისუფლებისათვის იბრძვის. პოლონელთა შორის ყველაზე ძლიერი და გავლენიანი პარტია არის „პოლონეთის სოციალისტური პარტია“, ესრედ წოდებული „პ. პ. ს.“ ამ პარტიას კულტურული ავტონომია სასაცილოდაც არ ყოფნიდა მოითხოვდა პოლონეთის სრული გამოყოფას რუსეთისაგან. ომამდე „პ. პ. ს.“ მოითხოვდა პოლონეთისათვის პოლიტიკურ-ტერიტორიალურ ავტონომიას და ამნაირად „პ. პ. ს.“ პროგრამით პოლონეთი ერთი ფედერატი იქნებოდა რუსეთის ფედერაციის. პოლონეთის სოციალისტურ პარტიათა შორის აღსანუსხავია აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული პარტიაც. „პ. პ. ს.“ წინააღმდეგ პოლონეთის დასელებმა სრულიად უარჰყვეს პოლონეთის პოლიტიკური და ტერიტორიალური ავტონომია, მაგრამ პოლონეთის მშრომელ საზოგადოებას სრულიად არ მოსწონს დასელთა ყალბი პატრიოტიზმი, უნიადაგო კოსმოპოლიტიზმი და ამიტომ იგი პარტია ცხოვრებიდანაც გაირიყა.

ვინც ამ მაგალითებს იცნობს, კიდეც აღიარებს, რომ ყოველ სახელმწიფოში ვითარდება ფედერალისტური მოძრაობა. პროფ. კორფი „ფედერალიზმში“ სწერს: „მსოფლიოს ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოების მიმართულებაში მკაფიოდ და ნათლად სჩანს ფედერატიულ ერთობისაკენ მისწრაფება“. ფედერალისტური მოძრაობა იმდენად ღრმავდება, რამდენადაც თანამედროვე სახელმწიფონი სისუსტეს ააშკარავებენ. ყოველი ომი აძლიერებს ფედერალისტურ ტალღას. ფედერალისტური მიმართულება არსებითად ძმობის და მშვიდობიანობის მიმართულებაა, ამიტომ დიდი ომი იწვევს სიყვარულს მშვიდობიანობისას და ამ სიყვარულში კი ფედერალიზმი არის ჩანასკული. შვეიცარიის ფედერალიზმი წარმოშვა ზანდერბუნდის ომებმა, სისხლის ღვრის და რკინის ტრიალის წიაღმა მოგვცა გერმანული კავშირი, ამერიკის შტატები განმტკიცდა ინგლისთან ბრძოლაში. კაუცკის აზრით ეხლანდელი ომი გვავალებს მსოფლიოს ფედერაციისათვის ზრუნვას.

კმარა ფაქტები. ყოველ თვალხილულ ადამიანისათვის აშკარაა, რომ ფედერალისტურ მოძრაობას ევროპის მრავალი სოციალისტური პარტია ესარჩლება და ფედერალიზმი მიაჩნია სახელმძღვანელო მოძღვრებად. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დასელების ჯიუტობას ბოლო მოეღება და ესენიც სახელმძღვანელო აზრად მიიღებენ ფედერალიზმს. ა. ჯორჯაძემ გადმოგვცა საკმაო მასალა ქართველ სოციალისტებში ფედერალიზმის განვითარებისა. დარჩიაშვილი. გომართელი, ჩხენკელი და სხ. დემოკრატის სახელით მოითხოვდნენ ფედერალიზმს. დასელი შვარცი შეგნებულად ემხრობა პოლიტიკურ ავტონომიას და ასეთ ერთეულთა კავშირის სისტემას, ესე იგი ფედერალიზმს. „ნაციონალურ საკითხსა და მუშათა კლასში“ შვარცი სწერდა 1908 წელს: „მუშათა კლასი მოითხოვს ისეთ **პოლიტიკურ** მართვა-გამგეობას, რომელიც საშუალებას აძლევს ყოველ ერს საკუთარი კულტურა განავითაროს. ამ მოთხოვნილების განხორციელება ჰგულისხმობს ერების **ორგანიულ შეკავშირებას...**“ (იხ. გაზ. „ნაპერწკალი“, 1908 წ. № 12). ყველას კარგად მოეხსენება, რომ **ერთა ორგანიული შეკავშირება** ფედერალიზმის საფუძველი და ნიშნავს კულტურულ ავტონომიის უარყოფას. ფედერალიზმის **სხვა** საფუძველი ტერიტორიალიზმია და აქაც ბ. შვარცი ტერიტორიალურ პრინციპს იცავს: „ეროვნულ თვითგამორკვევის ინსტიტუტების—ამბობს შვარცი—სალაპარაკო ენის მიხედვით განსაზღვრა მოსახერხებელია სხვა და სხვა ერების ერთიმეორესაგან ტერიტორიალურ გამოყოფით, **სამფლობელოების გამოთავთავებით**; ეს არის ეროვნულ თვით-გამორკვევის ძირითადი საფუძველი, ეს არის ბაზისი, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს თანამედროვე დემოკრატიის თვით-გამორკვევის ინსტიტუტები“ (იხ. „ნაპერწკალი“ № 17). ასე მსჯელობს არა მხოლოდ შვარცი. თვით „თანამედროვე აზრი“ სარედაქციო წერილში მიკიბულ-მოკიბულ საუბარის ბოლოს აცხადებს: „საერთაშორისო დემოკრატია მართლაც მოითხოვს **ერთა თავისუფალ კავშირს**“-ო (იხ. „თან. აზრი“ № 275, წერილი „ერთა თვით-გამორკვევის უფლება და ფედერალიზმი“, კურსივი ჩვ.—ავტ.).

ამის მეტი არც ჩვენ გვითქვამს არასოდეს. „თანამედროვე აზრმა“ დაიწყო იმით, რომ ერთა კავშირის აზრი ბურჟუათა საქმედ გამოაცხადა, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ფედერალიზმი შეგნებულად მიაჩნია სახელმძღვანელო აზრად ევროპის დემოკრატიას. ბოლოს „თანამედროვე აზრიც“ მიემხრო ამ დებულებას. კარგი იქნება საერთაშორისო დემოკრატიას ჩვენც მივბაძოთ, ფედერალიზმი სახელმძღვანელო პრინციპად გავიხადოთ და საერთო პოლიტიკით გავაძლიეროთ ეროვნული ბრძოლა.

მაგრამ „თანამედროვე აზრა“ სხვა რამეც აწუხებს ფედერალიზმში. ეს სხვა რამეც განვიხილოთ და გავიგოთ. მართლა არის ისეთი რამ, რაც ხელს უშლის შეთანხმებისათვის ბრძოლას?

თედო ღლონტი

ახალ მოსულის შენიშვნები

I

მესამე საფრთხე.

ყოველ ერს ენის შერყვნისა და ტერიტორიის ხელიდან გამოცლის გარდა, ერთი დიდი საფრთხე სდარაჯობს ისტორიული ცხოვრების სარბიელზე; ეს გახლავთ ნორმას გადაცილებული რასიული შერევა.

აბსოლიუტურად წმინდა რასსა არც არსებულა და არც არსებობს,—მაგრამ ერთა და საზოგადოებათა ცხოვრებასა და მათ ისტორიას თუ დაუკვირდებით—შევამჩნევთ, რომ წმინდა ნაციონალური, მაღალ ხარისხოვან კულტურის წარმოშობა მხოლოდ იმ ერს შესძლებია, რომელსაც დაუცავს თავი უცხო თესლთან შერევისაგან.

რამდენად ძლიერი ინდივიდუალური ფსიხოლოგია და დაჰყოლია ამა თუ იმ ერს, იმდენად მკაფიო იყო მუდამ სურვილი განთვისებისა მეზობელ ერებთან... მაგალითად ძველი ბერძნები, ებრაელები სხვ. ხოლო ისეთი მოდგმანი, რომელთაც არა ბუნებრივ სისხლის შერევისაგან თავი ვერ, ან არ დაუცავთ,—ან სრულიად შთანთქმულან, გათქვეფილან უცხოთა შორის, ან არა და სრული შეუმოქმედება გამოუჩენიათ საკუთარ ცივილიზაციისა და კულტურისა.

პირველის მაგალითი გახლავთ: ამერიკელი წითელ-კანიანი ერები, უთვალავი ველური ტომები ავსტრალიისა და აფრიკისა, რომელნიც ან ძალდატანებით არიეს მათ ტერიტორიაზე გაბატონებულმა „თეთრებმა", ევროპიელებმა, ან და მათ თვით ვერ გამოიჩინეს საკმაო ძალა—მეზობელ ერებთან განკერძოვებისა.

აღმოსავლეთ სლავიანთა მემკვიდრე, მრავალ-რიცხოვან ერის ათიოდე საუკუნის არსებობამ თითქმის უქმად ჩაიარა კაცობრიობის კულტურისათვის—ამის მიზეზი არის მათ სისხლში შერეულ მონღოლური ნაკადი. თუ ხსენებულმა სლავიანურმა რასამ მიუხედავად თავისი კომპაქტურად დასახლებულ მცხოვრებთა მასისა, ვერც ორიგინალური სახელმწიფოებრივი წესწყობილება შეიმუშავა, ვერც მეცნიერებასა და ტეხნიკაში, ვერც რელიგიურ კულტურის მოგვარებაში, თავისებურობა ვერ გამოიჩინა, სხვათა შორის იმიტომ, რომ მასში ორი, ერთიმეორისათვის სრულიად უცხო, მოპირდაპირე ტემპერამენტის სისხლი აირია და ასეთმა არა-ბუნებრივმა, უკეთ ვსთქვათ, კონტრასტიულმა შეუღლებამ ერი ბასტარდი („უკანონო შვილი") წარმოშვა. თვით ინდო-გერმანელთა შორის უუნიჭიერესი ერი ჰელლინებისა, კულტურულ იმპოტენტად ხდება მას შემდეგ, რაც მის სისხლში არა ჰელლინური კავშირი (ელემენტი) შეიჭრა და სიტყვამ „ბარბაროს" თავის მაგიური მნიშვნელობა დაჰკარგა; ამ დღიდან იწყება იმ კულტურული პანთეონის რღვევისა და დაშლის პროცესი, რომლის ნანგრევებზე დღესაც ეძებს მოწინავე ევროპიელთა გონება, ჰამლეტის მამის აჩრდილივით წარხვდომილ სულს ძველი ჰელლენური კულტურისას.

რასსიულ არევისაგან პატარა, ნახევრად კულტურული ერები—ბუნებრივად თანდაყოლილ ინსტინქტით ნაკარნახევ ტრადიციებით იფარავდნენ თავს, ხოლო ისეთნი, რომელთაც საკუთარი რელიგიური სამყაროს შექმნა შეეძლოთ, სარწმუნოებრივი ვეტოს საშუალებით ებრძოდნენ უცხო თესლში არევას.

უკანასკნელი თქმის ნათელსაყოფად თვით ძველ ებრაელთა ერის ისტორია გამოდგება. ამ ერმა თუმცა ტერიტორიაც დაჰკარგა და დედა-ენაც, მაგრამ მიუხედავად ამისა—თავისი სპეციფიური ეროვნული ტიპი შერჩა. თუ დღეს ფრანგი მეცნიერი გრაფ გობინო ებრელთა საამაყოდ აცხადებს: „ჩემმა 8 წ. გოგონამაც შესძლო პარიზის ქუჩებზე მოსეირნე სემიტელნი (ებრაელნი არიან ნაგულისხმევი) ინდო-გერმანელებში გამოერჩიაო, ამას მხოლოდ თალმუდის სჯულს უნდა უმადლოდნენ, მხოლოდ სარწმუნოებამ შეაძლებინა ებრაელებს თავიანთი განსაკუთრებულა რასსიული ფიზიონომია შეენარჩუნებინათ.

რომაელთა ძლევა-უხვ იმპერიის რღვევა კეისარ ადრიანეს ედიქტის გამოცემის დღიდან დაიწყო (ხსენებულ ედიქტის ძალით რომაელთ შეეძლოთ აფრიკელ „მონებთან" შეუღლებულიყვნენ).

და ის ერი, რომელიც ისტორიულ გზატკეცილზე ტრიუმფატორის ეტლით სრბოლასა-და იყო ჩვეული, ვით ერთი კაცი საფლავში ჩაეშვა.

თუ არტურ შოპენჰაუერის სტერეოტიპიული გამოთქმა: „სარწმუნოება ერის ყავარჯენიაო",—რომელიმე მოდგმის ისტორიაში გამართლებულა, ეს ჩვენ წარსულ ცხოვრებაში ასრულდა.

ქრისტეს სარწმუნოება, რომელმაც არა ერთსა და ორ ერს გაუთხარა საფლავი თავის კოსმოპოლიტურ, ანტინაციონალური ძირითადი პრინციპების წყალობით, ჩვენსას უებარ მალამოდ მოევლინა.

ქართველმა ერმა გასაოცარი ნიჭი გამოიჩინა თვით ამ რელიგიის შეთვისებასა და გათვისებურებაში.

დიდი იყო საფრთხე მცირე-რიცხოვან ქართველ რასისათვის ამ სარწმუნოების მიღების დროს ბიზანტიელებთან გათქვეფისა," მაგრამ ჩვენი ეროვნული სულის მძლითი ძალა (პოტენციალური) საკმაოდ ღონიერი აღმოჩნდა, ქართული ეკლესია ჯერ კიდევ მე-V—VI საუკუნეში დაადგა ნაციონალიზაციის გზას.

თუ ევროპიელ ქრისტიან ერთათვის ქრისტიანიზმი—მშრალი დოღმატიზმი იყო—ჩვენთვის—ფარი ეროვნული სახის შესანარჩუნებლად.

ამ მხრით არც პოლიტიკურ წყობილებას, და არც გეოგრაფიულს, ბუნებრივ ზღუდეებს იმდენი მფარველობა არ გაუწევია, მცირე აზიიდან ტრანსკავკასიაში შემოფარებულ ქართული რასისათვის, როგორც სჯულს..,

რასიული იზოლიაციის ინსტიქტი იმდენად განამტკიცა ხანგრძლივმა ბრძოლამ თავისებურობის დასაცავად საუკუნეთა განმავლობაში, რომ თუმცა საქართველოს სამხრეთმა პროვინციებმა მაჰმადის სჯული მიიღეს მეთექსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეში და ოსმალეთს დაუახლოვდნენ, მაინც იშვიათად ხდებოდა, რომ მაჰმადიან ქართველს თავისი ქალი არაქართველ მაჰმადიანისთვის მიეთხოვებია, ან თავის ოჯახში უცხო თესლის შვილი შემოეყვანა.

სავალალოდ, ქრისტიანული სარწმუნოება ჩვენთვის ის ფონი გახდა, რომელიც თავში კარგია და ბოლოში აჩრჩობს...

თუ იგი 17 საუკუნის განმავლობაში იფარავდა ჩვენ ხალხს უცხო თესლში არევისაგან, 1801 წლიდან პირიქით ხელს უწყობს კიდეც მას. ეს წელი, როგორც მრავალ გზით, ისე ამ მხრითაც ბედითი იყო ჩვენი ერის არსებობისათვის...

დღეს არც სახელმწიფო, არც სჯული არ უშლის ჩვენ ახალგაზდა ქალვაჟთა უცხო ნათესავთან შეუღლებას.

საფრთხე დღითი-დღე იზრდება... თუ ერის შეგნებაში არ გამაგრდა რასიული თავისებურობის შენარჩუნების ინსტიქტი, ისედაც დამახინჯებულ სხეულს ჩვენი ეროვნებისას ბასტარდის სახით შევამკობთ...

კ. გ—ია.

ერთი შეკითხვის გამო

(კიდევ ჟურნ. „სკოლა და ოჯახის" გარშემო).

„სახალხო ფურცლის" 776 №-'ში ბ. ლადო ბზვანელი რამდენიმე კითხვით მოგვმართავს ჩვენ, როგორც ჟურნალ „სკოლა და ოჯახის" სარედაქციო კოლეგიის წევრთ. სანამ აღნიშნულ კითხვებზე ვუპასუხებდეთ, მეტი არ იქნება ორიოდე სიტყვა ვთქვათ თვით ჟურნალის შესახებაც.

საქმე ისაა, რომ სპეციალური პედაგოგიური ჟურნალი, რომლის გარშემოც შესაძლებელი იქნებოდა მასწავლებელთა შემოკრება, ყოველთვის დიდ საქმედ მიგვაჩნდა და ახლაც მიგვაჩნია. მაგრამ არ კმარა მარტო სურვილის გამოთქმა, ან კიდევ დადგენილების გამოტანა: ჟურნალი გამოვსცეთო! ყველამ იცის, თუ რა ძნელ პირობებში უხდებათ მუშაობა ჩვენებურ ყოველ-დღიურ გამოცემებს, რომელნიც ჩვენს საზოგადოებაში კარგა ხანია ფეხმოდგმულნი არიან, მკითხველიცა ჰყავთ და თანამშრომელიც.—სულ სხვაა პედაგოგიური შინაარსის გამოცემა: ტეხნიკური მხარე რომ არც კი ვახსენოთ, ამგვარი შინაარსის ჟურნალისთვის ჩვენში თანამშრომლის მოძებნაც ძნელია. უკვე ათი წელიწადია, რაც ბ. ლ. ბოცვაძე იშვიათის ენერგიით და საქმის სიყვარულით აწარმოებს „განათლების" გამოცემას და აბა ამ ხნის განმავლობაში რამდენმა ავტორმა მოათავსა შიგ სპეციალურად პედაგოგიური წერილი (თარგმანებს ნუ ავიღებთ)?.. ქართველი პედაგოგი სწერს პუბლიცისტურს, კრიტიკულ სტატიებს, ლექსებს, მოთხრობებს, ისტორიულ მონოგრაფიებს, ეკონომიურ და პოლიტიკურ შინაარსის წერილებს და სხვა ასეთებს, პედაგოგიურს კი—არაოდეს, ან ძლიერ იშვიათად! უმეტეს შემთხვევებში მათი საწყერლო პედაგოგიური მოღვაწეობა სახელმძღვანელოთა შედგენაში თუ გამოიხატება, ხოლო მრავალ საინტერესო პედაგოგიურ საკითხთა და დებულებათა პოპულიარიზაციას თითქო ყველა გაურბის. ასეთი მდგომარეობა გვაფიქრებდა და შესაფერ თანამშრომელთა მოპოების ეჭვს გვიძრავდა. ან კი როგორ არ დაგვებადებოდა ასეთი ეჭვი, როდესაც თვით რუსული დიდტანიანი პედაგოგიური ჟურნალებიც კი, ცოტა არ იყოს, გამოიფიტა მას შემდეგ. რაც ომი დაიწყო და გერმანელ ლიტერატორთა და პედაგოგთა ნააზროვნებს რუსის რედაქტორებმა ბოიკოტი გამოუცხადეს!..

მასწავლებელთა ყრილობას, როდესაც ჟურნალის გამოცემა გადაწყდა, ერთი ჩვენთაგანი, სამწუხაროდ, ვერ დაესწრო; ხოლო სარედაქციო კოლეგიის პირველსავე კრებაზე განვაცხადეთ: „ნუ ავჩქარდებით, ჯერ-ჯერობით, თუ რამე შეგვიძლია, „განათლებას" დავეხმაროთ და შემდეგ საკუთარ ჟურნალზედაც ვიზრუნოთ თქო".—დაგვიანებულია ასეთი განცხადებაო,—გვიპასუხეს და მართალიც იყო. კრების დადგენილებას დავემორჩილეთ და ჟურნალის გამოცემის თავდარიგს შევუდექით.—შესაფერი ბარათებით თანამშრომლობა ვსთხოვეთ ჩვენებურ ცნობილ ლიტერატორთა და პედაგოგებს და ვინც თანხმობა მოგვცა, შემდეგ ჟურნალშიაც გამოვაცხადეთ. ეგაა, რომ ცარიელი დაპირებისაგან არაფერი გამოვიდა. ჩვენ აქ მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავთ და არავის საყვედურს არ ვუცხადებთ, რასაკვირველია. ეს კია, რომ კოლეგიას თავიდანვე დიდი სურვილი ჰქონდა ამ საქმეში გამგეობაც ახლო ჰყოლოდა, მაგრამ იმათ გვიპასუხეს, კოლეგიის საქმეებში ვერ ჩავერევით, ჩვენ სხვაც ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელიო. თვით კოლეგიასაც მანძილისა თუ სხვა გარემოებათა გამო ბევრი ჩამოშორდა, მიგვატოვა ყველამ და დავრჩით სამი კაცი. ყველაფერი ჩვენ დაგვაწვა, დამტარებლობაც კი!—და ჩვენს კერძო თუ ბევრ სხვა საქმესთან ერთად ამ საქმეში რაც შევძელით, ის გავაკეთეთ, და ერთს ვაი-ვაგლახშიაც ჩავცვივდით: ჯერ სანამ ჟურნალს გამოვცემდით, აქეთ-იქიდან გვიჩურჩურებდნენ: არიქა, ჩქარა გამოეცითო! გამოვეცით და—წიხლები დაგვიშინეს! როგორ გამოეცითო! და ჩვენს გამოცემას „ქუჩურიც" კი უწოდეს!.. ეჰ, მახლას!..

ყველას დაავიწყდა, რომ ჩვენში ასეთი გამოცემა ახალი საქმე იყო, და ნაცვლად გამხნევებისა, რჩევისა, შესაფერი მასალების მოწოდებისა, ჟურნალის გავრცელებისა და ხელის მომწერთა რიცხვის გამრავლებისა იმ დალოცვილებმა დადგენილებები გამოიტანეს, ჟურნალი შეჩერდესო! და ვინც წინად გვაჩქაროდა, იმათაც კი დავავიწყდით!..

არა, ეს საქმე ისევ უნდა აღსდგეს, ისევ უნდა გაცოცხლდეს, სულ სხვა პირობებში და სხვა ორგანიზაციით!

დასასრულ ორიოდე სიტყვაც თვით შეკითხვის გამო:

1) ბ. ლ. ნაცვლიშვილი ჟურნალისთვის ხელმძღვანელის მოწვევის წინააღმდეგი არაოდეს არ ყოფილა;

2) კოლეგიის საერთო დადგენილების თანახმად ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ ერთ-ერთს, სახელდობრ სა-პედაგოგიო განყოფილების ხელმძღვანელად მოწვეულ პირს და ვსთხოვეთ მიეღო ეს შრომა. ხსენებული პირი დროს უქონლობას ასახელებდა მიზეზად, თუმცა თანხმობასაც გამოსთქვამდა. ბოლოს მანვე გაგვიცხადა, სრულიად გადმომეცით ჟურნალი, პროგრამას შევუცვლი და თვიურად გადავაკეთებო. იქნებ ეს ასეც სჯობდა, მაგრამ საზოგადო კრების დაუკითხავად ჩვენ ეს ნაბიჯი ვერ გადავდგით;

3) ხსენებული პირისაგან ჩვენ ეს პასუხი უკვე მიღებული გვქონდა და მისი აზრი ვიცოდით, როდესაც გამგეობამ სწორედ იმავე პირის მოწვევა და ამ საქმეში ჩარევა მოისურვა.

4) გამგეობამ ჟურნალის გამოსაცემად ჟურნალის რედაქტორს ვგონებ ასი მანეთი გადასცა.

ჟურ. „სკოლა და ოჯახის" სარედაქციო კოლეგიის წევრნი: **დ. ოყრეშიძე, ან. შუბლაძე.**

მოწერილი ამბები

რკ. გზის სად. ბუზგრი. დიდ გაჭირვებას განვიცდით ამ სადგ. მოსამსახურენი პირველ საჭირ. სანოვაგის უქონლობისა გამო. თუმცა დაარსდა კოოპერატიული დუქანი, მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, რადგანაც წევრთა რიცხვი მრავლია და სანოვაგის მოზიდვის საქმე არ არის კალაპოტში ჩამდგარი.

ურიცხვი ქართველი ვიმყოფებით აქ სამხედრო დროისა გამო. არ გვაქვს რკინის გზის ოთახები და გვიხდება ქალაქში კერძო ბინის ძებნა თვეობით, და ვერ ვშოულობთ, ქალაქი დაცილებულია სად. 3 ვერ. მანძილზე და შორიდან სამსახურში სიარული უკანასკნელ მდგომარეობაში გვაგდებს.

აქამდის შეშა გვეძლეოდა რკ. გზის საწყობიდან პირიან ფასებში, დღეს ისიც მოგვისპეს, და ვინ შესძლებს 300 მ. საჟენ შეშაში აძლიოს?

კარგი იქნება ვისაც რიგია ამ ჩვენ გაჭირვებას მიაქცევდეს ყურადღებას და გაჭირვებისგან გვიხსნიდეს.

რამოდენიმე წლის წინად აქ დაუარსებია ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების წიგნთ-საცავ სამკითხველო, ეს უკანასკნელი ქალაქშია იქმნა აღძრული შუამდგომლობა რომ გადმოეტანათ სადგურის ახლო. რადგანაც ალექსანდრეპოლში გარდა სადგურისა, ქართველები არ არის, და ქალაქში კი გაზეთის საკითხად რკ. გზის მოსამსახურე ვერ მიდის მოუცილებლობისა გამო.

აქ წასულ წელს გაიმართა რამდენიმე ქართული წარმოდგენა. ხოლო არავინ იფიქრა, რომ წარმოდგენების შემოსავალი მოხმარებოდა ჩვენს გაჭირვებულ ძმებს—მაჰმადიან ქართველებს.

მუშა.

—

ს. ვალე (ახალც. მაზრა) ბოლო მოუღებელმა საზარელმა ომმა სოფლის ცხოვრების საქმეც მეტად აწეწდაწეწა და გაართულა. რაც მეტი სახლის ვაჟკაცი წელს გაიყვანა მთავრობამ ომის საჭიროებისათვის და მათი სახლ-კარი რჩება სუსტს ქალებისა და მოხუცებულების ამარა, იმდენი სიავკაცე და ბოროტება იზრდება სოფლად; ნაძირალები სარგებლობენ ასეთ მარჯვე დროს, უხდებიან ოჯახებში დარჩენილ სუსტ არსებათა, იციან ვერავინ გაუმკლავდება მათ და რაც სურთ ყველაფერი მიაქვთ ოჯახებიდან. მაგ. წინა კვირებში გიქორაშვილებს პეტრეს და სიმონას ოჯახებს შეუცვივდნენ ვიღაც მაწანწალა მეზობელი ნაძირალები და ყველაფერი გაზიდეს! ჰინახული, მოდგმული ერბო, ყველი, ახალად დაკერილი რამოდენიმე ათეული ნაჭერი საცვალი და სხვ. ერთი კვირის წინად იყო და კაკაჩაანთ აკოს სახლი გატეხეს. იმავე დღეებში, 15 ურემი თივა დაუწვეს კაკაჩაანთ ივანეს. საჭიროა ადგილობრივმა სამაზრო ადმინისტრაციამ მიაქციოს ყურადღება ნაძირალების აღვირ-ახსნილობას და ალაგმოს თორემ მთელ სოფელს ისინი მალე გააღატაკებენ ამრიგობით.

ყველა შეგნებული ადამიანი ვალდებული არის დაეხმაროს ვისაც ჯერ არს სოფლად მოთარეში ვაჟბატონ ნაძირალების ასალაგმავად, თორემ მათგან გაძარცული და დაღატაკებული ხალხი ჩვენვე შეგვექნება საპატრონოთ, ჩვენვე დაგვჭირდება გაუწოდოთ ჩვენი წვლილი საცხოვრებლად.

მესხი კ. გვარამაძე.

რუსეთის ამბები

— კიეველი გაზების ქარხანა გაზეთის საშუალებით აფრთხილებს თავის აბონემენტებს, რომ უნახშირობის გამო შეიძლება ქარხანაში მუშაობა შესწყდესო.

— დონის როსტოვში ქალაქში ნახშირი აღარაა. სიცივეა. ელექტრონის სადგურის უფროსმა განაცხადა რომ სამი დღის შემდეგ სადგურზე ფუნქცია შესწყდება.

— დღეს ნოვო ჩერკასკში ბჭობაა სათბობ მასალის კრიზისის გამო.

— კიევში შავი პურიც აღარ არის. ზოგიერთ ბაზარზე 2 გირვანქაზე მეტს არ აძლევენ მყიდველებს.

„თანამედროვე აზრისადამი"

კიევის ქართველი სტუდენტობა დიდს უკმაყოფილებას გიცხადებთ იმის გამო, რომ თქვენი გაზეთის ფურცლებზე, მიუხედავად თხოვნისა („სახალხო ფურცლის" დეკემბრის ნომერი) არ იყო მოთავსებული ის განაჩენი, რომელიც გამოიტანა ახლად არჩეულმა კომისიამ სტ. სირია-ტყავაძის ინციდენტის შესახებ. და აი ამ განაჩენზე კი ბევრს ალაპარაკებთ თქვენს კორესპონდენტს „კიეველს" („თანამედროვე აზრი" № 4), რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მკითხველი საზოგადოება.

სტუდენტობის სახელით გამგეობა.

შემოწირულება

ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ჩემდამი რწმუნებულ უმაღლ. პირ. დაწყ. სასწავლებლისთვის.

სია შემომწირველთა: ნოე ელ. სიხარულიძე 300 მან., ნესტორ ელ. სიხარულიძე 100 მან., დიმიტრი პ. ძნელაძე 100 მან.;

გიორგი ვახ. მდინარაძისგან შეკრებილი თავიანთ ნაცნობთა შორის 50 მ.

კონონი ცინცაძისაგან მოგროვილი ფული 33 მან. 50 კაპ.

დიმიტრი ქ. შარაშიძისაგან მოგროვილი ფული 45 მან.; ლევან ვაჩეიშვილი 25 მან., ანტონ ძნელაძე 24 მან., ბენედიკტე ჩხიკვიშვილი 15 მან., ბექან ხუნდაძე 37 მან.

პატივისცემით — ჩოხატაურის უმაღ. პირვ. დაწყ. სასწავლებლის ინსპექტორი **ალ. ჭურაძე.**

დ ღ ე ს:

მუსიკ. სასწავლ. დარბაზი. გერონტი ქიქოძისა და ი. გრიშაშვილის მოხსენებანი.

სახაზინო თეატრი. ოპერა „იოლანტა" და „ალეკო".

არტისტ. საზ. რუსული დრამა.

ხარფუხის კლუბი. სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი.

ახალი კლუბი. რუსული ოპერეტი.

ძმ. ეფიმოვების ცირკი. საცირკო წარმოდგენა.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:			ს. წ.	
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9,28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	9 „	დილ.
გორისკენ	სამგზ.	№ 5,	9.10	დილ.
ტფილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 5,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
გორიდან	სამგზ.	. . .	6.34	საღ.
თელავიდან	. .	№ 3,	6.24	„

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ,
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული. (სიფილის ავადმყ.).
ბ. გ. აგახაროვი: $9^{1}/_{2}$—2 ს. ბავშვთ. შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ახაკიანი: 6—7 ს. ქალთა ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 50 კაპ, ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.
1051

თევზის მრეწველნი
ძმ. ძებაველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის ხიზილალა, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შემა ები. მუდმივ გვაქვს ცოცხალი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თა თი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვ და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინ ხება.
1036

სეკარის სითხე
პროფესორ ბიუხნერის სისტემით მომზადებული საუცხოვოდ მოქმედობს: ნე რასტენიის, ისტერიის, ნევრალგიის, უძლურების, ნიკრისის, რევმატიზმ სისხლ-ნაკლებობის, არტერიოსკლეროზის, პლექის, დიაბეტის, თავის ტკ ლის, უძილობის, გულის ავადმყოფობის, კუჭის ავადმყოფობის, საერთო ს სუსტის, იმფულენციის, სიფილისის, სისხლისგან დაცლის და სხვა დროს.
მიღებული გვაქვს მრავალი მადლობა ექიმებისაგან, პროფესორებისა ავათმყოფებისაგან. დასაკვეთად მიმართეთ პარიზის საფარმაცევტო ლაბო ტორიის ტფილისის განყოფილებას.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 16. განყოფ. 2—2.
ხელმწიფო ბანკის პირდაპირ.

სუსუნატით (ჭინჭრიკა)
ავადმყოფებს
რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძინენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს", რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჭაშ-ბისას და სხვ.
რატომ
ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება
იმიტომ რომ
ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.
მეორედ იმიტომ, რომ მართლაც ძნელი ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა,
მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინ საშუალება „ურიტალი". სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოც ლებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა რომ
ურიტალი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კა შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარ ცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში. ტფილისი, ლო რის-მელიქოვის ქ. № 16, ნაწ. 1—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპი
За заказами и оправками обратиться въ Тифлисско Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тиф лисъ, Лорис-Меликовская № 16 отд—1—1. на противъ Государственнаго Банка.

Дозволено военной цензурой.

სტამბა „ქართლი" მ. ი. ციციშვილისა. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. სემინარიის შენობა